სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების კვლევა პროფესიული განათლების მასწავლებლებში
2020

კვლევის ანგარიში

ანალიტიკური სამსახური

სარჩევი

შესავალი 1

მიზანი 1

მეთოდოლოგია 2

რაოდენობრივი მონაცემები 3

სამიზნე ჯგუფის ძირითადი მახასიათებლები 3

დემოკრატიული კულტურის სარეკომენდაციო ჩარჩოს ცნობადობა და ინფორმირებულობა 5

დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების განვითარების შეფასება 13

1. ადამიანის ღირსებისა და უფლებების დაფასება; 14

2. კულტურული მრავალფეროვნების დაფასება; 17

3. დემოკრატიის, სამართლიანობის, კეთილსინდისიერების, თანასწორობისა და კანონის უზენაესობის დაფასება. 19

4. კულტურული განსხვავებულობისა და სხვა რწმენებისადმი, მსოფლმხედველობების, შეხედულებებისა თუ პრაქტიკისადმი შემწყნარებლური დამოკიდებულებისათვის მზაობა; 22

5. პატივისცემა; 24

6. მოქალაქეობრივი აზროვნება; 26

7. პასუხისმგებლობა; 29

8. თავდაჯერებულობა; 31

9. გაურკვევლობისადმი შემწყნარებლური დამოკიდებულება. 33

10. დამოუკიდებლად სწავლის უნარ-ჩვევები; 35

11. ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევები; 38

12. მოსმენისა და დაკვირვების უნარ-ჩვევები; 40

13. ემპათია; 42

14. მოქნილობა და შეგუების უნარი; 45

15. ენობრივი, კომუნიკაციური და მრავალენობრივი უნარები; 47

16. თანამშრომლობის უნარ-ჩვევები; 49

17. კონფლიქტების მოგვარების უნარ-ჩვევები. 52

18. საკუთარი თავის შეცნობა და კრიტიკული გააზრება; 54

19. ენისა და კომუნიკაციის ცოდნა-შემეცნება და კრიტიკული გააზრება; 56

20. მსოფლიოს (პოლიტიკის, კანონის, ადამიანის უფლებების, კულტურის, კულტურათა, რელიგიების, ისტორიის, მედიის, ეკონომიკის, გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების) შეცნობა-შემეცნება და კრიტიკული გააზრება. 58

ძირითადი დასკვნები 61

რეკომენდაციები: 63

დანართი N1 65

დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების კვლევა პროფესიული განათლების მასწავლებლებში

შესავალი

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი 2015 წლიდან ახორციელებს პროფესიული განათლების მასწავლებელთა და დირექტორთა განვითარების პროგრამას. პროგრამის მიზანია პროფესიული განათლების მასწავლებელთა და დირექტორთა შესაძლებლობების გაძლიერება მათი საჭიროებებისა და პროფესიული განათლების სფეროში მიმდინარე ცვლილებების შესაბამისად. დასახული მიზანი ხორციელდება პროგრამის ფარგლებში შემუშავებული ამოცანების და ამ ამოცანების ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების თუ აქტივობების საშუალებით. მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების დირექტორების და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, რომელის წარმატებით განხორციელების, შეფასების და საჭიროების დადგენის ერთერთ აქტივობას წარმოადგენს სხვადასხვა კვლევების და გამოკითხვების ორგანიზება. არსებულის გათვალისწინებით სწავლების დარგში მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს პროფესიულ დაწესებულებებში დემოკრატიული კულტურის და ადამიანთა უფლებების სწავლება, კომმპეტენციების განვითარება და იმ საჭირეობების შეფასება რაც ამ მიმართულებით დგას პროფესიული განათლების მასწავლებლების წინაშე.

მიზანი

2020 წლის იანვარ-თებერვალში სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა პროფესიული განათლების მასწავლებელთა და დირექტორთა განვითარების პროგრამის და ანალიტიკური სამსახურის ფარგლებში ჩაატარა დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების კვლევა პროფესიული განათლების მასწავლებლებში. კვლევის მიზანი იყო საქართველოს მასშტაბით პროფესიული განათლების დაწესებულებებში დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების მიმართულებით სიტუაციის შეფასება, რაც მომავალში მიღებულ მონაცემებზე დაფუძნებით, მასწავლებლების საჭიროებაზე მორგებული შემხვედრი ნაბიჯების გადადგმის საშუალებას იძლევა.

კვლევის კონკრეტულ ამოცანებს კი წარმოადგენდა:

- ✓ პროფესიული სასწავლებლების მასწავლებელთა შორის დემოკრატიული კულტურის სარეკომენდაციო ჩარჩოს შესახებ ცნობადობის დადგენა;
- ✓ დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩოს ინფორმირებულობის შესახებ წყაროების და ფორმების გამოვლენა;
- ✓ დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩოს შესახებ ცნობადობის, ინფორმირებულობის წყაროების და ფორმების გამოვლენა რეგიონალურ და დარგობრივი მიმართულებების ჭრილებში;
- ✓ დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების განვითარებაზე მუშაობის ინტენსიობის დადგენა;
- ✓ დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების განვითარებაზე მუშაობის პროცესში ხელშემწყობი და ხელშემშლელი ფაქტორების დადგენა;
- ✓ დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების განვითარებაზე მუშაობის პროცესში სასურველი დამხმარე ფაქტორების დასახელება;

მეთოდოლოგია

პროფესიულ დაწესებულებებში დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სიღრმისეულად შესასწავლად გამოყენებული იქნა რაოდენობრივი მეთოდი, რომელიც განხორციელდა პროფესიული დაწესებულებების დირექტორების და მასწავლებლების პირისპირ გამოკითხვით. მოცემულ ანგარიშში განხილულია ამ მეთოდით მიღებული მონაცემების დამუშავების და სტატისტიკური ანალიზის შედეგები. ველი განხორციელდა თებერვლის თვეში წინასწარ დატრენინგებული 9 მონიტორინგის სპეციალისტის მიერ. შერჩევაში მონაწილეობდა საქართველოს 11 რეგიონის 20 პროფესიული დაწესებულების 192 რესპონდენტი (პროფესიული დაწესებულების მასწავლებელთა გენერალური ერთობლიობის 1%).

ინსტრუმენტი

კვლევის ფარგლებში ინსტრუმენტად გამოყენებული იქნა კითხვარი, რომელიც შემუშავდა პირისპირ გამოკითხვის მიზნით. კითხვარი მოიცავს 8 შეკითხვას, ამათგან ოთხი შეკითხვა განეკუთვნება ზოგად თემატიკას (რეგიონი/რაიონი, პროფესიული დაწესებულება, პოზიცია და დარგი), სამი შეკითხვა ეხება დემოკრატიული კულტურის ჩარჩო კომპეტენციის ცნობადობას, ინფორმირებულობის წყაროებს და ფორმებს.

ინსტრუმენტის ბოლო მე-8 შეკითხვაში ცხრილის სახით ჩამოთვლილია დემოკრატიული კულტურის 20 კომპეტენცია ღირებულებების, დამოკიდებულებების, უნარების, ცოდნის და კრიტიკული გააზრების შესახებ. თითოეულ კომპეტენციის განვითარებაზე რესპონდენტი ოთხი დახურული და ერთი ღია ქვეშეკითხვის სახით აფასებს, აღწერს და აკონკრეტებს

ინფორმაციას ხელშემწყობი, ხელშემშლელი და დამხმარე ფაქტორების შესახებ, რომლებიც დანართის სახით წარმოდგენილია კითხვარში (იხ. დანართი).

სტუდენტებში კომპეტენციის განვითარებაზე მუშაობას რესპონდენტი აფასებს 4-ბალიან შკალაზე, სადაც 0 ნიშნავდა საერთოდ ვერ ვახერხებ, 1 - ძალიან იშვიათად ვახერხებ, 2 - ხშირად ვახერხებ და 3 - ამ კომპეტენციების განვითარება ყოველდღიური სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია.

თითოეული კომპეტენციის შესახებ ხელშემწყობი, ხელშემშლელი და დამხმარე ფაქტორების დასახელების დროს რესპონდენტს ჰქონდა საშუალება დაესახელებინათ სამი სავარაუდო პასუხი. ღია შეკითხვში კი რესპონდენტი კონკრეტული კოპეტენციის განვითარების შესახებ ასახელებს მათთვის მისაღებ შენიშვნებს, რეკომენდაციებს, თუ რჩევებს.

რაოდენობრივი მონაცემები

სამიზნე ჯგუფის ძირითადი მახასიათებლები

რაოდენობრივი მონაცემების სტატისტიკურად დამუშავების მიზნით გამოყენებულია Excel - ის პროგრამა. დაკავებული პოზიციების მიხედვით 192 გამოკითხულ რესპონდენტთა შორის, 4 კოლეჯის დირექტორია, 2 კოლეჯის დირექტორის მოადგილე და 186 მასწავლებელი.

მთელი საქართველოს მასშტაბით კვლევაში მონაწილე პროფესიული დაწესებულებების და გამოკითხული რესპონდენტების განაწილება იხ.ცხრილი #1. პროფესიული დაწესებულებები შერჩეული იქნენ საქართველოს ყველა რეგიონიდან, მათ შორის დაახლოებით მეოთხედი რესპონდენტების თბილისის 5 პროფესიული სასწავლებლიდან შეირჩა (48 მასწავლებელი), შიდა ქართლის 3 შერჩეული სასწავლებლიდან 30 რესპონდენტი მონაწილეობდა კვლევაში, ხოლო უმცირესობა 8 (4%) რესპონდენტი რაჭა-ლეჩხუმის და ზემო სვანეთის ერთი პროფესიული დაწესებულების წარმომადგენლები არიან.

ცხრილი #1. რეგიონებში რესპონდენტების და პროფესიული დაწესებულებების განაწილება

რეგიონი	პროფესიული დაწესებულებები	რესპონდენტთა განაწილება
აჭარა	2	20
გურია	1	10

თბილისი	5	48
იმერეთი	1	10
კახეთი	2	14
მცხეთა-მთიანეთი	1	10
რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი	1	8
სამეგრელო-ზემო სვანეთი	2	21
სამცხე-ჯავახეთი	1	10
ქვემო ქართლი	1	11
შიდა ქართლი	3	30
სულ	**20**	**192**

საგნის სწავლების მიხედვით კვლევაში მოხვდა ცხრა მიმართულების სპეციალობების და საგნების მასწავლებლები. მასწავლებელთა უმრავლესობა, 41% ასწავლის ინჟინერიის მიმართულებით, ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით კი 21%. მინიმალურია რესპონდენტთა რაოდენობა საბუნებისმეტყველო 2% და ჯანდაცვის 3% მიმართულებით. გამოკითხულ 192 რესპონდენტიდან 18-მა არ დაასახელა სპეციალობა, იხ. ცხრილი #2.

ცხრილი #2. რესპონდენტთა განაწილება სწავლების მიმართულებების მიხედვით

მიმართულებები	რესპონდენტთა განაწილება	%
აგრარული მეცნიერებები	18	10%
ბიზნესის ადმინისტრირება	36	21%
ინჟინერია	41	24%
საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	3	2%
მიმართულებათაშორისი დარგები	10	6%
სოციალური მეცნიერებები	13	7%
უცხო ენა	21	12%
ხელოვნება	26	15%
ჯანდაცვა	6	3%
სულ	**174**	**100%**

დემოკრატიული კულტურის სარეკომენდაციო ჩარჩოს ცნობადობა და ინფორმირებულობა

შეკითხვაზე, იცნობთ თუ არა დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩოს, გამოკითხულ რესპონდენტთა 77% (147 მასწავლებელი) არ იცნობს და 23% (45 მასწავლებელი) იცნობს აღნიშნულ ჩარჩოს, იხ. ცხრილი #3.

ცხრილი #3. დემოკრატიული კულტურის სარეკომენდაციო ჩარჩოს ცნობადობა

იცნობთ თუ არა დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩოს?	რესპონდენტთა განაწილება	%
არ იცნობს	147	77%
იცნობს	45	23%
სულ	**192**	**100%**

რეგიონებში თუ განვიხილავთ დემოკრატიული კულტურის ჩარჩოს ცნობადობას, დავინახავთ, რომ ხუთი რეგიონიდან გამოკითხული მასწავლებლები საერთოდ არ იცნობენ დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩოს. აღნიშნული რეგიონებია გურია, იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, სამეგრელი-ზემო სვანეთი და ქვემო ქართლი. შედარებით მაღალია ცნობადობა მცხეთა-მთიანეთში (90%), და კახეთში (57%). თბილისსა და აჭარაში ცნობადობა მაღალია ზოგად შერჩევის მაჩვენებელზე (35% და 30% შესაბამისად). ცნობადობა ყველაზე დაბალი 7% ფიქსირდება შიდა ქართლში, იხ გრაფიკი #1.

დემოკრატიული კულტურის სარეკომენდაციო ჩარჩოს ცნობადობა დაგობრივი მიმართულებების მიხედვით ყველა ჯგუფში დაბალია, გარდა საბუნებისმეტყველო მეცნიერების მიმართულების ჯგუფისა. ცხრა მიმართულების ჯგუფიდან თითოეულ რვა ჯგუფში გამოკითხულების 50%-ზე მეტი არ იცნობს დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩოს (68-88%). ცნობადობის ზოგად შერჩევის მაჩვენებელზე (23%) მეტია ეს მაჩვენებელი საბუნებისმეტყველო (67%), ინჟინერიის (32%), მიმართულებათაშორის (30%) და აგრარული (26%) მიმართულებების ჯგუფებში. სოციალური მეცნიერების მიმართულების ჯგუფში ცნობადობა 23%-ია, შედარებით ნაკლებია ბიზნესის ადმინისტრირების (19%), ჯანდაცვის (17%), უცხო ენების (14%) და ხელოვნების (12%) მიმართულებათა ჯგუფებში, იხ. გრაფიკი #2.


გრაფიკი #1: დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩოს ცნობადობა რეგიონულ ჭრილში
ქვემო ქართლი 100%
სამეგრელო - ზემო სვანეთი 100%
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი 100%
იმერეთი 100%
გურია 100%
შიდა ქართლი 93% 7%
სამცხე-ჯავახეთი 70% 30%
აჭარა 70% 30%
თბილისი 65% 35%
კახეთი 43% 57%
მცხეთა-მთიანეთი 10% 90%
0% 10% 20% 30% 40% 50% 60% 70% 80% 90% 100%
არ იცნობს
იცნობს


გრაფიკი #2: დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩოს ცნობადობა მიმართულებების მიხედვით
ხელოვნება 88% 12%
უცხო ენა 86% 14%
ჯანდაცვა 83% 17%
ბიზნეს ადმინისტრირება 81% 19%
სოციალური მეც. 77% 23%
აგრარული 72% 28%
მიმართულებათაშორისი 70% 30%
ინჟინერია 68% 32%
საბუნებისმეტყველო მეც. 33% 67%
0% 10% 20% 30% 40% 50% 60% 70% 80% 90% 100%
არ იცნობს
იცნობს

შეკითხვა დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩოს ინფორმირებულობის შესახებ ადგენდა იმ საინფორმაციო წყაროების ჩამონათვალს, საიდანაც პედაგოგები ღებულობდნენ ინფორმაციას, მათ შორის მოიაზრება სსიპ - მასწავლებლის პროფესიულლი განათლების ეროვნული ცენტრი, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, პროფესიული დაწესებულების დირექტორი, რესურსცენტრი, კოლეგა და სხვა ნებისმიერი წყარო, რომელსაც პედაგოგი დაასახელებდა. ცნობადობის შესახებ დადებითი პასუხის შემთხვევაში, რესპონდენტები აკონკრეტებდნენ თუ რომელი წყაროდან/წყაროებიდან მიიღეს ინფორმაცია სარეკომენდაციო ჩარჩოს შესახებ. აღნიშნულ შეკითხვაზე რესპონდენტს ჰქონდა შესაძლებლობა შემოეხაზა ორი სავარაუდო პასუხი. ცხრილი #4 წარმოგვიდგენს იმ 45 რესპონდენტის პასუხს, ვინც იცნობს დემოკრატიული კულტურის სარეკომენდაციო ჩარჩოს, მათ შორის 26-მა რესპონდენტმა დააფიქსირა რამოდენიმე პასუხი, რაც ჯამში გვაძლევს 71 პასუხს. რესპონდენტთა პასუხების უმრავლესობა (42%) ინფორმაციის მთავარ წყაროდ სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განათლების ეროვნულ ცენტრს განიხილავს. თანაბარია პასუხები, რომელიც ერგო განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს და კოლეგას (15-15%). შედარებით ნაკლებია პასუხების რაოდენობა, რომელიც ინფორმაციის წყაროდ განიხილავს პროფესიული დაწესებულების დირექტორს (7%) და მინიმალურია რესურსცენტრი (1%), როგორც საინფორმაციო წყარო. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი წილი 18% ეკუთვნის სხვა საინფორმაციო საშუალებებს სადაც ძირითადად ისახება ინტერნეტის და სოციალური მედიის როლი, როგორც ინფორმაციის გავრცელების წყარო, იხ ცხრილი #4.

ცხრილი #4. დემოკრატიული კულტურის სარეკომენდაციო ჩარჩოს საინფორმაციო წყარო

დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ, დააკონკრეტოთ, საიდან მიიღეთ ინფორმაცია დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩოს შესახებ:	რესპონდენტთა განაწილება	%
სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარებს ეროვნული ცენტრი	30	42%
განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	11	15%
დაწესებულების დირექტორი	5	7%
კოლეგა	11	15%
რესურსცენტრი	1	1%
სხვა	13	18%
სულ:	71	100%

თუ განვიხილავთ დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩოს ძირითად საინფორმაციო წყაროებს რეგიონალურ და დარგობრივი მიმართულებების ჭრილების მიხედვით, დავინახავთ, რომ სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი ამ ჭრილებშიც ძირითადი საინფორმაციო წყაროა, იხ. გრაფიკი #3, #4.



გრაფიკულად წარმოდგენილი სქემა (გრაფიკი #3) ასახავს რეგიონების მიხედვით არსებულ მდგომარეობას დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩოს საინფორმაციო წყაროებთან დაკავშირებით. იმ ექვსი რეგიონის მასწავლებლების პასუხები, სადაც დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩოს ცნობადობაა, პრიორიტეტულ საინფორმაციო წყაროდ მასწავლებლის სახლს ასახელებენ. აღნიშნული წარმომადგენლების პასუხები არის აჭარის (64%), თბილისის (44%) და მცხეთა-მთიანეთის (50%) რეგიონებიდან. ასევე პრიორიტეტულ საინფორმაციო წყაროდ სამცხე-ჯავახეთის წარმომადგენლები ასახელებენ განათლების სამინისტროს (50%), კახეთი კი სხვა საინფორმაციო წყაროს (50%). შიდა ქართლის წარმომადგენლები ერთნაირი სიხშირით ასახელებენ პრიორიტეტად საინფორმაციო წყაროს მასწავლებლის სახლს, განათლების სამინისტროს და კოლეგას (33-33%). პასუხებში რესურსცენტრის დასახელება სინფორმაციო წყაროდ მინიმალურია, ექვსი რეგიონიდან მარტო მცხეთა-მთიანეთის წარმომდაგენლებმა დაასახხელეს რესურსცენტრი საინფორმაციო წყაროდ (7%). პროფესიული დაწესებულების დირექტორი საინფორმაციო წყაროდ დასახელდა მხოლოდ სამ რეგიონში, თბილისში (8%), კახეთში (8%) და მცხეთა-მთიანეთში (14%). რეგიონებიდან მცხეთა-მთაინეთში სახელდება ექვსივე ინფორმაციის წყარო, თბილისში სახელდება ხუთი საინფორმაციო წყარო, კახეთში

ოთხი წყარო, აჭარაში ორი წყარო, სამცხე-ჯავახეთში და შიდა ქართლში სამ-სამი საინფორმაციო წყარო. ხოლო თუ განვიხილავთ ინფორმაციის წყაროებს ცალ-ცალკე, მასწავლებლის სახლს ასახელებს ექვსივე რეგიონი, სამინისტროს და კოლეგას ხუთი რეგიონი, პროფესიული დაწესებულების დირექტორს და სხვა წყაროს სამ-სამი რეგიონი, რესსურსცენტრს კი ერთი რეგიონი ასახელებს.



გრაფიკი #4 წარმოადგენს პასუხებს კომპეტენციების საინფორმაციო წყაროებზე დარგობრივი მიმართულებების მიხედვით. საინფორმაციო წყაროებს შორის პრიორიტეტად სახელდება მასწავლებლის სახლი, კოლეგა, განათლების სამინისტრო, შემდეგ სხვა წყარო და დირექტორი. მასწავლებლის სახლი სახელდება 20-57% შემთხვევებში, ცხრა დარგობრივი ჯგუფიდან ოთხი ჯგუფი პრიორიტეტად ასახელებს მასწავლებლის სახლს. ესენია ინჟინერიის (58%), მიმართულებათაშორისი (57%), საბუნებისმეტყველო მეცნიერების (50%) და ბიზნესის ადმინისტრირების (42%) დარგობრივი მიმართულებების ჯგუფები. ჯანდაცვის დარგის მასწავლებლების 100% ასახელებს კოლეგას, აგრარული დარგის

მასწავლებლების 43% სხვა წყაროს. ხელოვნების დარგის მასწავლებლები მთავარ საინფორმაციო წყაროს ანაწილებენ დირექტორს და განათლების სამინისტროს (40-40%) შორის, უცხო ენების მასწავლებლები ასახელებენ მასწავლებლის სახლს და განათლების სამინისტროს (33-33%), სოციალური მეცნიერებების დარგის მასწავლებლები კი მასწავლებლის სახლს, სამინისტროს, კოლეგას და სხვა წყაროს (25-25%). ერთადერთია რესურსცენტრი რომელსაც მარტო მიმართულებათაშორისი დარგის მასწავლებლები ასახელებენ (14%). ცხრა მიმართულების დარგიდან და ექვსი საინფორმაციო წყაროდან ორ დარგში სახელდება ხუთი წყარო ინფორმაციის მიღების, სამ დარგში სახელდება ოთხი წყარო, სამ დარგში სახელდება სამი წყარო და ერთ დარგში ერთი წყარო. ხოლო თუ განვიხილავთ ინფორმაციის წყაროებს ცალ-ცალკე, მასწავლებლის სახლი სახელდება რვა დარგობრივ მიმართულებაში, კოლეგა და განათლების სამინისტრო შვიდ დარგობრივ მიმართულებაში, სხვა წყარო კი ხუთ დარგობრივ მიმართულებაში.

კვლევაში ასევე იყო შეკითხვა, თუ რა ფორმით ისურვებდნენ მასწავლებლები ინფორმაციის მიღებას დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩოს შესახებ. აღნიშნულ შეკითხვაში მათ არჩევანი ჰქონდათ, დაესახელებინათინფორმაციის მიღების ორი სასურველი ფორმა. კითხვის ოთხი სავარაუდო პასუხი გულისხმებოდა ინფორმაციის მიღებას პრეზენტაციის, გზამკვლევი/სახელმძღვანელოს, ელექტროული რესურსის და ტრენინგის/სამუშაო შეხვედრის ფორმით. ცხრილი #5 წარმოგვიდგენს იმ 133 რესპონდენტის პასუხს, ვინც ისურვებდა დემოკრატიული კულტურის სარეკომენდაციო ჩარჩოს შესახებ ინფორმაციის მიღებას სხვადასხვა ფორმით, მათ შორის 69 რესპონდენტმა დააფიქსირა ორი სავარაუდო პასუხი, რაც ჯამში გვაძლევს 202 პასუხს. მასწავლებელთა 38% ასახელებს ინფორმაციის მიწოდების ფორმად ტრენინგებს/სამუშაო შეხვედრებს, 24% - გზამკვლევს, 23% - პრეზენტაციას, 15% კი ელექტრონულ რესურს ასახელებს, იხ. ცხრილი #5.

ცხრილი #5. დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების შესახებ ინფორმაციის მიღების ფორმები

თუ არ იცნობთ დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩოს, გთხოვთ, დააკონკრეტეთ, რა ფორმით ისურვებთ ინფორმაციის მიღებას:	რესპონდენტთა განაწილება	%
ტრენინგი/სამუშაო შეხვედრა	77	38%
გზამკვლევი/სახელმძღვანელო	48	24%
პრეზენტაცია	47	23%
ელექტრონული რესურსი	30	15%
სულ	**202**	**100%**

დემოკრატიული კულტურის კომპეტენციის სარეკომენდაციო ჩარჩოს შესახებ ინფორმაციის მიღების ფორმები რეგიონების და დარგობრივი მიმართულებების ჯგუფების მიხედვით წარმოდგენილია გრაფიკებით, იხ. გრაფიკი #5, #6.



გრაფიკი #5: ინფორმაციის მიღების ფორმები დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩოს შესახებ რეგიონების მიხედვით

გრაფიკულად წარმოდგენილი სქემა (გრაფიკი #5) ასახავს რეგიონების მიხედვით არსებულ მდგომარეობას დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩოს შესახებ ინფორმაციის მიღების ფორმებზე. თერთმეტი რეგიონიდან შვიდ რეგიონში პრიორიტეტულია ტრენინგების და სამუშაო შეხვედრების ფორმით ინფორმაციის მიღება, ეს რეგიონებია იმერეთი და მცხეთა-მთიანეთი (50-50%), ქვემო ქართლი (47%), აჭარა (44%), შიდა ქართლი (43%), სამეგრელო-ზემო სვანეთი (42%) და თბილისი (40%). გზამკვლევი/სახელმძღვანელო პრიორიტეტად სახელდება გურიაში (40%) და მცხეთა-მთიანეთში (50%). აღსანიშნავია, რომ მცხეთა-მთიანეთში სახელდება მხოლოდ ორი ინფორმაციის მიღების ფორმა, ესენია ტრენინგები და გზამკვლევი (50-50%). პრიორიტეტად პრეზენტაციას ასახელებს კახეთი (56%) და სამცხე-ჯავახეთი (40%), ხოლო ელექტრონულ რესურს რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი (38%). თერთმეტი რეგიონიდან შვიდ რეგიონში სახელდება ოთხივე ფორმა ინფორმაციის მიღების, სამ რეგიონში სახელდება სამი ფორმა და ერთ რეგიონში ორი

ფორმა ინფორმაციის მიღების. ხოლო თუ განვიხილავთ ინფორმაციის მიღების ფორმებს, ტრენინგები სახელდება თერთმეტივე რეგიონში, გზამკვლევი და პრეზენტაცია სახელდება ათ რეგიონში, ელექტრონული რესურსი კი რვა რეგიონში.



გრაფიკი #6 ასახავს დარგობრივი მიმართულებების მიხედვით დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩოზე ინფორმაციის მიღების სასურველ ფორმებს. ცხრა დარგობრივი მიმართულების ჯგუფებიდან შვიდი დარგის მასწავლებლებს შორის პრიორიტეტულია ტრენინგების და სამუშაო შეხვედრების ფორმით ინფორმაციის მიღება, ეს დარგებია ბიზნესის ადმინისტრირება (56%), საბუნებისმეტყველო მეცნიერებები (50%), ინჟინერია (49%), უცხო ენები და ხელოვნება (35-35%), აგრარული (30%) და ჯანდაცვა (29%). გზამკვლევი/სახელმძღვანელო პრიორიტეტად სახელდება ხელოვნების (35%) და ჯანდაცვის (29%) მიმართულებებშიც. პრეზენტაციას პრიორიტეტად ასახელებს

მიმართულებათაშორისი დარგის (40%) წარმომადგენლები, ელექტრონულ რესურს კი სოციალური მეცნიერებების მიმართულების მასწავლებლები (36%). აღსანიშნავია რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებებში სახელდება მხოლოდ ორი პრიორიტეტული ინფორმაციის მიღების ფორმა, ესენია ტრენინგები და ელექტრონული რესურსი (50-50%), ხელოვნების მიმართულებაშიც ორი პრიორიტეტული ფორმა, ტრენინგი და გზამკვლევი (35-35%) სახელდება. ჯანდაცვის მიმართულების მასწავლებლებს შორის პრიორიტეტები იყოფა ტრენინგებს, გზამკვლევს და პრეზენტაციას შორის (29-29%). ცხრა მიმართულების დარგიდან რვაში სახელდება ოთხივე ფორმა ინფორმაციის მიღების, ერთი, საბუნებისმეტყველო მეცნიერების მიმართულება კი ორ ფორმას ასახელებს. ხოლო თუ განვიხილავთ ინფორმაციის ფორმებს, ტრენინგები და ელექტრონული რესურსი სახელდება ცხრავე მიმართულებაში, გზამკვლევი და პრეზენტაცია კი რვა მიმართულებაში, იხ.გრაფიკი #6.

დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების განვითარების შეფასება

დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩოში იდენტიფიცირებულია 20 კომპეტენცია: 3 ღირებულება, 6 დამოკიდებულება, 8 უნარი, 3 ცოდნა და კრიტიკული გააზრება.

ღირებულება

1. ადამიანის ღირსებისა და უფლებების დაფასება;
2. კულტურული მრავალფეროვნების დაფასება;
3. დემოკრატიის სამართლიანობის, კეთილსინდისიერების, თანასწორობისა და კანონის უზენაესობის დაფასება.

დამოკიდებულება

4. კულტურული განსხვავებულობისა და სხვა რწმენებისადმი, მსოფლმხედველობების, შეხედულებებისა თუ პრაქტიკისადმი შემწყნარებლური დამოკიდებულებისათვის მზაობა;
5. პატივისცემა;
6. მოქალაქეობრივი აზროვნება;
7. პასუხისმგებლობა;
8. თავდაჯერებულობა;
9. გაურკვევლობისადმი შემწყნარებლური დამოკიდებულება.

უნარი

10. დამოუკიდებლად სწავლის უნარ-ჩვევები;
11. ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევები;
12. მოსმენისა და დაკვირვების უნარ-ჩვევები;

13. ემპათია;
14. მოქნილობა და შეგუების უნარი;
15. ენობრივი, კომუნიკაციური და მრავალენობრივი უნარები;
16. თანამშრომლობის უნარ-ჩვევები;
17. კონფლიქტების მოგვარების უნარ-ჩვევები.

ცოდნა და კრიტიკული გააზრება.

18. საკუთარი თავის შეცნობა და კრიტიკული გააზრება;
19. ენისა და კომუნიკაციის ცოდნა-შემეცნება და კრიტიკული გააზრება;
20. მსოფლიოს (პოლიტიკის, კანონის, ადამიანის უფლებების, კულტურის, კულტურათა, რელიგიების, ისტორიის, მედიის, ეკონომიკის, გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების) შეცნობა-შემეცნება და კრიტიკული გააზრება.

დემოკრატიული კულტურის თითოეული კომპეტენცია ფასდება რესპონდენტის მიერ, თუ რამდენად ახერხებს იგი სტუდენტებში ამ კომპეტენციების განვითარებას. შესაბამისად, რესპონდენტები ირჩევენ კომპეტენციის განვითარების 17 ხელისშემშლელი და ხელისშემწყობი ფაქტორებიდან, ასევე კომპეტენციის განვითარების მიმართულებით დახმარების სურვილის შემთხვევაში აკონკრეტებენ ფორმას /ტიპს, რომელიც ჩამონათვალი სიის სახით მიეწოდებათ რესპონდენტებს (იხ. დანართი). განვიხილოთ თითოეული კომპეტენციის შეფასება მასწავლებლის მხრიდან.

1. <u>ადამიანის ღირსებისა და უფლებების დაფასება;</u>

ცხრილი #6. რამდენად ახერხებთ სტუდენტებში აღნიშული კომპეტენციის განვითარებაზე მუშაობას

	რესპონდენტთა განაწილება	%
0 - საერთოდ ვერ ვახერხებ;		
1 - ძალიან იშვიათად ვახერხებ;	9	5%
2 - ხშირად ვახერხებ;	88	46%
3 - ამ კომპეტენციების განვითარება ყოველდღიური სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია	95	49%
სულ	**192**	**100%**

პირველი კომპეტენცის „ადამიანის ღირსების და უფლებების დაფასების“ განვითარებას რესპონდენტთა 49% ყოველდღიურ სასწავლო პროცესში იყენებს და იგი განუყოფელი ნაწილია. თუმცა მათი რაოდენობაც მნიშვნელოვანია, ვინც ამ კომპეტენციას ხშირად იყენებს, 46% და მხოლოდ 5% ძალიან იშვიათად ახერხებს ამ კომპეტენციაზე მუშაობას, იხ. ცხრილი #6.

გრაფიკი #7 წარმოადგენს იმ ხელისშემწყობ ფაქტორებს, რომლებიც „ადამიანის ღირსების და უფლებების დაფასების“ განვითარებაში ეხმარებათ მასწავლებლებს. ამ კომპეტენციის განვითარებაში მასწავლებლებს ყველაზე მეტად ეხმარებათ: კოლეგებთან თანამშრომლობა, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი და საგაკვეთილო დრო, ყველაზე ნაკლებად კი კონფერენციები და არასამთავრებო სექტორი სახელდება.

გრაფიკი #7: რა გეხმარებათ სტუდენტებში აღნიშნული კომპეტენციის განვითარებაში



გრაფიკი #8: რა გიშლით ხელს სტუდენტებში აღნიშნული კომპეტენციის განვითარებაში



გრაფიკი #8 წარმოადგენს იმ ხელისშემშლელ ფაქტორებს, რომლებიც „ადამიანის ღირსების და უფლებების დაფასების“ განვითარებაში ხელს უშლის მასწავლებლებს. ამ კომპეტენციის განვითარებაში მასწავლებლებს ყველაზე მეტად ხელს უშლის: თემის ჩართულობა, დამხმარე პროფესიული რესურსები და პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი.



გრაფიკი #9 წარმოადგენს იმ მხარდამჭერ ფაქტორებს, რომელთა მხარდაჭერასაც მასწავლებლები ისურვებდნენ „ადამიანის ღირსების და უფლებების დაფასების“ განვითარებაში. ამ კომპეტენციის განვითარებაში მასწავლებლებს ყველაზე მეტად ესაჭიროებათ: საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერა, დამხმარე პროფესიული რესურსები და მშობელთა ჩართულობა.

დამატებითი კომენტარის სახით „ადამიანის ღირსების და უფლებების დაფასების“ კომპეტენციის განვითარებისთვის მასწავლებლები აღნიშნავენ:

- *„დაიგეგმოს და განხორციელდეს ამ მიმართულებით სხვადასხვა შეხვედრები“*
- *„ზოგჯერ მშობლებს დიდი წარმოდგენა აქვთ თავიანთ შვილებზე და არაობიექტურად ითხოვენ მათი უფლებების დაცვას“*
- *„კარგი იქნებოდა შეხვედრები აღნიშნულ სფეროში წარმატებულ კოლეგებთან“*
- *„სკოლებში უნდა შევიდეს მსგავს საკითხებზე თემები, გაიზარდოს ოჯახის ჩართულობა“*

- *„ღირებულებების ფორმირებაში მნიშვნელოვანი როლი ეკისრება საგანმანათლებლო დაწესებულებებს, შესაბამისად საგანმანათლებლო დაწესებულებები უნდა იყოს დაკომპლექტებული კვალიფიციური პირებით, ასევე უნდა მოხდეს ამ პირების კვალიფიკაციის ამაღლება, ეს არის ჩემი ზოგადი კომენტარი ყველა კომპეტენციაზე“.*
- *„ჩაუტარონ სტუდენტებს კომპეტენტურმა პირებმა ლექცია შესაბამის თემებზე“*
- *„ხელისშემშლელი ფაქტორია-ოჯახი, მორალი“*

2. <u>კულტურული მრავალფეროვნების დაფასება;</u>

ცხრილი #7. რამდენად ახერხებთ სტუდენტებში აღნიშული კომპეტენციის განვითარებაზე მუშაობას

	რესპონდენტთა განაწილება	%
0 - საერთოდ ვერ ვახერხებ;		
1 - ძალიან იშვიათად ვახერხებ;	24	13%
2 - ხშირად ვახერხებ;	71	37%
3 - ამ კომპეტენციების განვითარება ყოველდღიური სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია	97	51%
სულ	**192**	**100%**

მეორე კომპეტენციის, „კულტურული მრავალფეროვნების დაფასების“ განვითარებას რესპონდენტთა 51% ყოველდღიურ სასწავლო პროცესში იყენებს და იგი განუყოფელი ნაწილია. თუმცა მათი რაოდენობაც მნიშვნელოვანია ვინც ამ კომპეტენციას ხშირად იყენებს 37% და მხოლოდ 13% ძალიან იშვიათად ახერხებს ამ კომპეტენციაზე მუშაობას, იხ. ცხრილი #7.

გრაფიკი #10 წარმოადგენს იმ ხელისშემწყობ ფაქტორებს, რომლებიც „კულტურული მრავალფეროვნების დაფასების“ განვითარებაში ეხმარება მასწავლებლებს. ამ კომპეტენციის განვითარებაში მასწავლებლებს ყველაზე მეტად ეხმარება: კონფერენციები, პროფესიული სტანდარტები და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.

გრაფიკი #11 წარმოადგენს იმ ხელისშემშლელ ფაქტორებს, რომელიც „კულტურული მრავალფეროვნების დაფასების“ განვითარებაში ხელს უშლის მასწავლებლებს. ამ კომპეტენციის განვითარებაში მასწავლებლებს ყველაზე მეტად ხელს უშლის: თემის ჩართულობა, პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი და სხვა ფაქტორები.

გრაფიკი #10: რა გეხმარებათ სტუდენტებში აღნიშნული კომპეტენციის განვითარებაში



გრაფიკი #11: რა გიშლით ხელს სტუდენტებში აღნიშნული კომპეტენციის განვითარებაში



გრაფიკი #12: რა ტიპის მხარდაჭერას ისურვებდით აღნიშნული კომპეტენციის განვითარებაში



გრაფიკი #12 წარმოადგენს იმ მხარდამჭერ ფაქტორებს რომელიც „კულტურული მრავალფეროვნების დაფასების“ განვითარებაში მასწავლებლები ისურვებდნენ როგორც მხარდამჭერი. ამ კომპეტენციის განვითარებაში მასწავლებლებს ყველაზე მეტად ესაჭიროებათ: საერთაშორისო ორგანიზაციები, მშობელთა ჩართულობა და სხვა ფაქტორები, ყველაზე იშვიათად კი აღნიშნული კომპეტენციის განვითარებაში მხარდამჭერ ფაქტორად ასახელებენ არასამტავრებო სექტორს და მასწავლებელთა პროფესიული განვიტარების ეროვნულცენტრს.

დამატებითი კომენტარის სახით „კულტურული მრავალფეროვნების დაფასების“ კომპეტენციის განვითარებისთვის მასწავლებლები აღნიშნავენ:

- *„საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე არ მიხერხდება“*
- *„საჭიროა მეტი ტრენინგი ამ თემაზე“*
- *„სკოლებში უნდა შევიდეს მსგავსი საკითხები, სათემო ორგანიზაციები გააქტიურდნენ“*
- *„სტუდენტებთან არასაკვეთილო დროს დაგეგმილი შეხვედრები და ღონისძიებები“*
- *„შესაძლებელია ვნახოთ ვიდეორგოლები“*
- *„ხელისშემშლელია-სტერეოტიპები“*
- *„ხშირი კომუნიკაციის (დროის) უქონლობა მოსწავლეთა მხრიდან“*

3. <u>დემოკრატიის, სამართლიანობის, კეთილსინდისიერების, თანასწორობისა და კანონის უზენაესობის დაფასება.</u>

ცხრილი #8. რამდენად ახერხებთ სტუდენტებში აღნიშული კომპეტენციის განვითარებაზე მუშაობას

	რესპონდენტთა განაწილება	%
0 - საერთოდ ვერ ვახერხებ;		
1 - ძალიან იშვიათად ვახერხებ;	22	12%
2 - ხშირად ვახერხებ;	82	43%
3 - ამ კომპეტენციების განვითარება ყოველდღიური სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია	87	46%
სულ	**191**	**100%**

მესამე კომპეტენცის „დემოკრატიის, სამართლიანობის, კეთილსინდისიერებიის, თანასწორობისა და კანონის უზენაესობის დაფასების“ განვითარებას რესპონდენტთა 46% ყოველდღიურ სასწავლო პროცესში იყენებს და იგი განუყოფელი ნაწილია. თუმცა მათი რაოდენობაც მნიშვნელოვანია ვინც ამ კომპეტენციას ხშირად იყენებს 43% და მხოლოდ 12% ძალიან იშვიათად ახერხებს ამ კომპეტენციაზე მუშაობას, იხ. ცხრილი #8.

გრაფიკი #13 წარმოადგენს იმ ხელისშემწყობ ფაქტორებს, რომელიც „დემოკრატიის, სამართლიანობის, კეთილსინდისიერების, თანასწორობისა და კანონის უზენაესობის დაფასების“ განვითარებაში ეხმარებათ მასწავლებლებს. ამ კომპეტენციის განვითარებაში მასწავლებლებს ყველაზე მეტად ეხმარებათ: განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, პროფესიული სტანდარტები და კონფერენციები.

გრაფიკი #14 წარმოადგენს იმ ხელისშემშლელ ფაქტორებს, რომელიც „დემოკრატიის, სამართლიანობის, კეთილსინდისიერებიის, თანასწორობისა და კანონის უზენაესობის დაფასების“ განვითარებაში ხელს უშლის მასწავლებლებს. ამ კომპეტენციის განვითარებაში მასწავლებლებს ყველაზე მეტად ხელს უშლის: თემის ჩართულობა, პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი და სხვა ფაქტორები.

გრაფიკი #13: რა გეხმარებათ სტუდენტებში აღნიშნული კომპეტენციის განვითარებაში



გრაფიკი #14: რა გიშლით ხელს სტუდენტებში აღნიშნული კომპეტენციის განვითარებაში



გრაფიკი #15 წარმოადგენს იმ მხარდამჭერ ფაქტორებს, რომლებსაც „დემოკრატიის, სამართლიანობის, კეთილსინდისიერებიის, თანასწორობისა და კანონის უზენაესობის დაფასების“ განვითარებაში მასწავლებლები ისურვებდნენ როგორც მხარდამჭერს. ამ კომპეტენციის განვითარებაში მასწავლებლებს ყველაზე მეტად ესაჭიროებათ: საერთაშორისო ორგანიზაციების, მშობელთა ჩართულობის და კოლეგებთან თანამშრომლობის მხარდაჭერა.



დამატებითი კომენტარის სახით „დემოკრატიის, სამართლიანობის, კეთილსინდისიერებიის, თანასწორობისა და კანონის უზენაესობის დაფასების“კომპეტენციის განვითარებისთვის მასწავლებლები აღნიშნავენ:

- *„განათლების სამინისტროს დახმარება“*
- *„კონფერენციაზე დავასწროთ სტუდენტები“*
- *„მესაჭიროება ტრენინგი, რათა უფრო კომპეტენტური გავხდე ამ საკითხში“*
- *„სასურველია დაიგეგმოს კოლეგებთან შეთანხმებით შეხვედრები და კონფერენციები შესაბამის თემებზე“*
- *„სკოლებში დაწყებითი საფეხურიდანვე უნდა განიხილებოდეს და ისწავლებოდეს მსგავსი საკითხები“*
- *„უნდა ჩატარდეს ტრენინგი, კონფერენცია, უნდა გვქონდეს საჭირო რესურსი“*

4. <u>კულტურული განსხვავებულობისა და სხვა რწმენებისადმი, მსოფლმხედველობების, შეხედულებებისა თუ პრაქტიკისადმი შემწყნარებლური დამოკიდებულებისათვის მზაობა;</u>

ცხრილი #9. რამდენად ახერხებთ სტუდენტებში აღნიშული კომპეტენციის განვითარებაზე მუშაობას

	რესპონდენტთა განაწილება	%
0 - საერთოდ ვერ ვახერხებ;	1	1%
1 - ძალიან იშვიათად ვახერხებ;	32	17%
2 - ხშირად ვახერხებ;	68	35%
3 - ამ კომპეტენციების განვითარება ყოველდღიური სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია	91	47%
სულ	**192**	**100%**

მეოთხე კომპეტენცის „კულტურული განსხვავებულობისა და სხვა რწმენებისადმი, მსოფლმხედველობების, შეხედულებებისა თუ პრაქტიკისადმი შემწყნარებლური დამოკიდებულებისათვის მზაობის“ განვითარებას რესპონდენტთა 47% ყოველდღიურ სასწავლო პროცესში იყენებს და იგი განუყოფელი ნაწილია. თუმცა მათი ნაწილიც მნიშვნელოვანია 35% ვინც ამ კომპეტენციას ხშირად იყენებს და ვინც ძალიან იშვიათად ახერხებს 17% ამ კომპეტენციაზე მუშაობას, იხ. ცხრილი #9.

გრაფიკი #16 წარმოადგენს იმ ხელისშემწყობ ფაქტორებს, რომელიც „კულტურული განსხვავებულობისა და სხვა რწმენებისადმი, მსოფლმხედველობების, შეხედულებებისა თუ პრაქტიკისადმი შემწყნარებლური დამოკიდებულებისათვის მზაობის“ განვითარებაში ეხმარებათ მასწავლებლებს. ამ კომპეტენციის განვითარებაში მასწავლებლებს ყველაზე მეტად ეხმარებათ: კონფერენციები, პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი და სხვა ფაქტრები.

გრაფიკი #17 წარმოადგენს იმ ხელისშემშლელ ფაქტორებს, რომელიც „კულტურული განსხვავებულობისა და სხვა რწმენებისადმი, მსოფლმხედველობების, შეხედულებებისა თუ პრაქტიკისადმი შემწყნარებლური დამოკიდებულებისათვის მზაობის“ განვითარებაში ხელს უშლის მასწავლებლებს. ამ კომპეტენციის განვითარებაში მასწავლებლებს ყველაზე მეტად ხელს უშლის: თემის ჩართულობა, პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი და სხვა ფაქტრები.

გრაფიკი #18 წარმოადგენს იმ მხარდამჭერ ფაქტორებს, რომლებსაც „კულტურული განსხვავებულობისა და სხვა რწმენებისადმი, მსოფლმხედველობების, შეხედულებებისა თუ პრაქტიკისადმი შემწყნარებლური დამოკიდებულებისათვის მზაობის“ განვითარებაში მასწავლებლები ისურვებდნენ, როგორც მხარდამჭერს. ამ კომპეტენციის განვითარებაში მასწავლებლებს ყველაზე მეტად ესაჭიროებათ: საერთაშორისო ორგანიზაციების, თემის და მშობელთა ჩართულობის მხარდაჭერა.

გრაფიკი #16: რა გეხმარებათ სტუდენტებში აღნიშნული კომპეტენციის განვითარებაში



გრაფიკი #17: რა გიშლით ხელს სტუდენტებში აღნიშნული კომპეტენციის განვითარებაში



გრაფიკი #18: რა ტიპის მხარდაჭერას ისურვებდით აღნიშნული კომპეტენციის განვითარებაში



დამატებითი კომენტარის სახით „დემოკრატიის, სამართლიანობის, კეთილსინდისიერებიის, თანასწორობისა და კანონის უზენაესობის დაფასების“ კომპეტენციის განვითარებისთვის მასწავლებლები აღნიშნავენ:

- *„ამ თემასთან დაკავშირებით ყოველთვის გამოხატავენ სტუდენტები მზაობას როცა კი გვისაუბრია“*
- *„აღზრდა, არამზაობა აღნიშნული კომპეტენციის გააზრებაში“*
- *„თანამშრომლობა“*
- *„სამუშაო შეხვედრების დაგეგმვები და საუბრები შესაბამის თემებზე“*
- *„ხელისშემშლელია სკოლიდან მოსული მოსწავლეების ცოდნის დაბალი დონე“.*

5. <u>პატივისცემა:</u>

ცხრილი #10. რამდენად ახერხებთ სტუდენტებში აღნიშული კომპეტენციის განვითარებაზე მუშაობას

	რესპონდენტთა განაწილება	%
0 - საერთოდ ვერ ვახერხებ;		
1 - ძალიან იშვიათად ვახერხებ;	3	2%
2 - ხშირად ვახერხებ;	49	26%
3 - ამ კომპეტენციების განვითარება ყოველდღიური სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია	140	73%
სულ	**192**	**100%**

მეხუთე კომპეტენცის „პატივისცემის“ განვითარებას რესპონდენტთა 73% ყოველდღიურ სასწავლო პროცესში იყენებს და იგი განუყოფელი ნაწილია. მათი რაოდენობა ვინც ამ კომპეტენციას ხშირად იყენებს 26%-ია და მხოლოდ 2% ძალიან იშვიათად ახერხებს ამ კომპეტენციაზე მუშაობას, იხ. ცხრილი #10.

გრაფიკი #19 წარმოადგენს იმ ხელისშემწყობ ფაქტორებს, რომელიც „პატივისცემის“ განვითარებაში ეხმარებათ მასწავლებლებს. ამ კომპეტენციის განვითარებაში მასწავლებლებს ყველაზე მეტად ეხმარებათ: კონფერენციები, პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი და დამხმარე პროფესიული რესურსები.

გრაფიკი #20 წარმოადგენს იმ ხელისშემშლელ ფაქტორებს, რომელიც „პატივისცემის“ განვითარებაში ხელს უშლის მასწავლებლებს. ამ კომპეტენციის განვითარებაში მასწავლებლებს ყველაზე მეტად ხელს უშლის: თემის ჩართულობა, დამხმარე პროფესიული რესურსები და სხვა ფაქტორები.

გრაფიკი #19: რა გეხმარებათ სტუდენტებში აღნიშნული კომპეტენციის განვითარებაში



გრაფიკი #20: რა გიშლით ხელს სტუდენტებში აღნიშნული კომპეტენციის განვითარებაში



გრაფიკი #21: რა ტიპის მხარდაჭერას ისურვებდით აღნიშნული კომპეტენციის განვითარებაში



გრაფიკი #21 წარმოადგენს იმ მხარდამჭერ ფაქტორებს, რომლებსაც „პატივისცემის“ განვითარებაში მასწავლებლები ისურვებდნენ როგორც მხარდამჭერს. ამ კომპეტენციის განვითარებაში მასწავლებლებს ყველაზე მეტად ესაჭიროებათ: დამხმარე პროფესიული რესურსები, საერთაშორისო ორგანიზაციების და მშობელთა ჩართულობის მხარდაჭერა.

დამატებითი კომენტარის სახით „პატივისცემის“ კომპეტენციის განვითარებისთვის მასწავლებლები აღნიშნავენ:

- *„თემის ჩართულობა“*
- *„მიმაჩნია, რომ ხელისშემშლელი იქნება მშრალად პროფესული სტანდარტის შესაბამისად საგაკვეთილო დროის გამოყენება, მხოლოდ სტანდარტული სწავლის პროცესის წარმართვა“*
- *„მიღწევადია ყველა სიტუაციაში“*
- *„მშობლების მეტი ჩართულობა“*
- *„საზოგადოებისგან მეტი ყურადღებაა საჭირო“*
- *„ძირითადად გაკვეთილზე ვავითარებთ“.*

6. <u>მოქალაქეობრივი აზროვნება;</u>

ცხრილი #11. რამდენად ახერხებთ სტუდენტებში აღნიშული კომპეტენციის განვითარებაზე მუშაობას

	რესპონდენტთა განაწილება	%
0 - საერთოდ ვერ ვახერხებ;	1	1%
1 - ძალიან იშვიათად ვახერხებ;	16	8%
2 - ხშირად ვახერხებ;	98	51%
3 - ამ კომპეტენციების განვითარება ყოველდღიური სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია	77	40%
სულ	**192**	**100%**

მეექვსე კომპეტენცის „მოქალაქეობრივი აზროვნების“ განვითარებას რესპონდენტთა 40% ყოველდღიურ სასწავლო პროცესში იყენებს და იგი განუყოფელი ნაწილია. თუმცა მათი რაოდენობა უფრო მეტია ვინც ამ კომპეტენციას ხშირად იყენებს 51% და მხოლოდ 8% ძალიან იშვიათად ახერხებს ამ კომპეტენციაზე მუშაობას, იხ. ცხრილი #11.

გრაფიკი #22 წარმოადგენს იმ ხელისშემწყობ ფაქტორებს, რომელიც „მოქალაქეობრივი აზროვნების“ განვითარებაში ეხმარებათ მასწავლებლებს. ამ კომპეტენციის განვითარებაში მასწავლებლებს ყველაზე მეტად ეხმარებათ: პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი, საერთაშორისო ორგანიზაციები და თემის ჩართულობა.

გრაფიკი #23 წარმოადგენს იმ ხელისშემშლელ ფაქტორებს, რომელიც „მოქალაქეობრივი აზროვნების“ განვითარებაში ხელს უშლის მასწავლებლებს. ამ კომპეტენციის განვითარებაში მასწავლებლებს ყველაზე მეტად ხელს უშლის: თემის ჩართულობა, პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი და დამხმარე პროფესიული რესურსები.

გრაფიკი #22: რა გეხმარებათ სტუდენტებში აღნიშნული კომპეტენციის განვითარებაში



გრაფიკი #23: რა გიშლით ხელს სტუდენტებში აღნიშნული კომპეტენციის განვითარებაში



გრაფიკი #24 წარმოადგენს იმ მხარდამჭერ ფაქტორებს, რომლებსაც „მოქალაქეობრივი აზროვნების“ განვითარებაში მასწავლებლები ისურვებდნენ როგორც მხარდამჭერს. ამ კომპეტენციის განვითარებაში მასწავლებლებს ყველაზე მეტად ესაჭიროებათ: საერთაშორისო ორგანიზაციების, თემის და მშობელთა ჩართულობის მხარდაჭერა.



დამატებითი კომენტარის სახით „მოქალაქეობრივი აზროვნების“ კომპეტენციის განვითარებისთვის მასწავლებლები აღნიშნავენ:

- *„აუცილებელია თემის ჩართვა“*
- *„ვიდეორესურსები აღნიშნულ საკითხზე“*
- *„ვცდილობთ ჩამოვუყალიბოთ მოქალაქეობრივი აზროვნება“*
- *„მეტი ინფორმაციები აღზრდის თაობაზე“*
- *„მშობლების, თემის ჩართულობა“*
- *„საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე არ მიხეხრხდება აღნიშნული კომპეტენციის განვითარებაზე მუშაობა“*
- *„სკოლისა და თემის ჩართულობა“*
- *„ხელისშემშლელია ზოგიერთი მშობლის არამოქალაქეობრივი პოზიცია, დამოკიდებულება“*

7. <u>პასუხისმგებლობა:</u>

ცხრილი #12. რამდენად ახერხებთ სტუდენტებში აღნიშული კომპეტენციის განვითარებაზე მუშაობას

	რესპონდენტთა განაწილება	%
0 - საერთოდ ვერ ვახერხებ;		
1 - ძალიან იშვიათად ვახერხებ;	6	3%
2 - ხშირად ვახერხებ;	53	28%
3 - ამ კომპეტენციების განვითარება ყოველდღიური სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია	133	69%
სულ	**192**	**100%**

მეშვიდე კომპეტენცის „პასუხისმგებლობის“ განვითარებას რესპონდენტთა 69% ყოველდღიურ სასწავლო პროცესში იყენებს და იგი განუყოფელი ნაწილია. თუმცა მათი რაოდენობაც მნიშვნელოვანია ვინც ამ კომპეტენციას ხშირად იყენებს 28% და მხოლოდ მინიმალური 3% ძალიან იშვიათად ახერხებს ამ კომპეტენციაზე მუშაობას, იხ. ცხრილი #12.

გრაფიკი #25 წარმოადგენს იმ ხელისშემწყობ ფაქტორებს, რომელიც „პასუხისმგებლობის“ განვითარებაში ეხმარებათ მასწავლებლებს. ამ კომპეტენციის განვითარებაში მასწავლებლებს ყველაზე მეტად ეხმარებათ: პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი, კონფერენციები და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.

გრაფიკი #26 წარმოადგენს იმ ხელისშემშლელ ფაქტორებს, რომელიც „პასუხისმგებლობის“ განვითარებაში ხელს უშლის მასწავლებლებს. ამ კომპეტენციის განვითარებაში მასწავლებლებს ყველაზე მეტად ხელს უშლის: თემის ჩართულობა, დამხმარე პროფესიული რესურსები და პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი.

გრაფიკი #27 წარმოადგენს იმ მხარდამჭერ ფაქტორებს, რომლებსაც „პასუხისმგებლობის“ განვითარებაში მასწავლებლები ისურვებდნენ როგორც მხარდამჭერს. ამ კომპეტენციის განვითარებაში მასწავლებლებს ყველაზე მეტად ესაჭიროებათ: მშობელთა ჩართულობა, საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერა და დამხმარე პროფესიული რესურსები.

გრაფიკი #25: რა გეხმარებათ სტუდენტებში აღნიშნული კომპეტენციის განვითარებაში



გრაფიკი #26: რა გიშლით ხელს სტუდენტებში აღნიშნული კომპეტენციის განვითარებაში



გრაფიკი #27: რა ტიპის მხარდაჭერას ისურვებდით აღნიშნული კომპეტენციის განვითარებაში



დამატებითი კომენტარის სახით „პასუხისმგებლობის“ კომპეტენციის განვითარებისთვის მასწავლებლები აღნიშნავენ:

- *„ინტელექტი“*
- *„მშობელი, თემი, სკოლა“*
- *„სკოლის ჩართულობა“*
- *„სტუდენტებში ვანვითარებთ პასუხისმგებლობის გრძნობას“*
- *„უნდა დაიწყოს სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში“*
- *„ხელს არაფერი გვიშლის“*

8. <u>თავდაჯერებულობა:</u>

ცხრილი #13. რამდენად ახერხებთ სტუდენტებში აღნიშული კომპეტენციის განვითარებაზე მუშაობას

	რესპონდენტთა განაწილება	%
0 - საერთოდ ვერ ვახერხებ;		
1 - ძალიან იშვიათად ვახერხებ;	8	4%
2 - ხშირად ვახერხებ;	93	49%
3 - ამ კომპეტენციების განვითარება ყოველდღიური სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია	89	47%
სულ	**192**	**100%**

მერვე კომპეტენცის „თავდაჯერებულობის“ განვითარებას რესპონდენტთა 47% ყოველდღიურ სასწავლო პროცესში იყენებს და იგი განუყოფელი ნაწილია. თუმცა მათი რაოდენობა ცოტა მეტია ვინც ამ კომპეტენციას ხშირად იყენებს 49% და მხოლოდ 4% ძალიან იშვიათად ახერხებს ამ კომპეტენციაზე მუშაობას, იხ. ცხრილი #13.

გრაფიკი #28 წარმოადგენს იმ ხელისშემწყობ ფაქტორებს, რომელიც „თავდაჯერებულობის“ განვითარებაში ეხმარებათ მასწავლებლებს. ამ კომპეტენციის განვითარებაში მასწავლებლებს ყველაზე მეტად ეხმარებათ: პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი, არასამთავრებო სექტორი და მშობელთა ჩართულობა.

გრაფიკი #29 წარმოადგენს იმ ხელისშემშლელ ფაქტორებს, რომელიც „თავდაჯერებულობის“ განვითარებაში ხელს უშლის მასწავლებლებს. ამ კომპეტენციის განვითარებაში მასწავლებლებს ყველაზე მეტად ხელს უშლის: თემის ჩართულობა, დამხმარე პროფესიული რესურსები და სხვა ფაქტორები.

გრაფიკი #28: რა გეხმარებათ სტუდენტებში აღნიშნული კომპეტენციის განვითარებაში



გრაფიკი #29: რა გიშლით ხელს სტუდენტებში აღნიშნული კომპეტენციის განვითარებაში



გრაფიკი #30: რა ტიპის მხარდაჭერას ისურვებდით აღნიშნული კომპეტენციის განვითარებაში



გრაფიკი #30 წარმოადგენს იმ მხარდამჭერ ფაქტორებს, რომლებსაც „თავდაჯერებულობის“ განვითარებაში მასწავლებლები ისურვებდნენ როგორც მხარდამჭერს. ამ კომპეტენციის განვითარებაში მასწავლებლებს ყველაზე მეტად ესაჭიროებათ: საერთაშორისო ორგანიზაციების, მშობელთა და თემის ჩართულობის მხარდაჭერა.

დამატებითი კომენტარის სახით „თავდაჯერებულობის“ კომპეტენციის განვითარებისთვის მასწავლებლები აღნიშნავენ:

- *„გამოცდილება“*
- *„ვიდეორესურსებს“*
- *„მშობელი, სკოლა“*
- *„სტუდენტებში შესაბამისი საუბრებით ვავითარებთ თავდაჯერებულობას“*
- *„ხელს არაფერი გვიშლის“*

9. <u>გაურკვევლობისადმი შემწყნარებლური დამოკიდებულება.</u>

ცხრილი #14. რამდენად ახერხებთ სტუდენტებში აღნიშული კომპეტენციის განვითარებაზე მუშაობას

	რესპონდენტთა განაწილება	%
0 - საერთოდ ვერ ვახერხებ;	4	2%
1 - ძალიან იშვიათად ვახერხებ;	31	16%
2 - ხშირად ვახერხებ;	92	49%
3 - ამ კომპეტენციების განვითარება ყოველდღიური სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია	62	33%
სულ	**189**	**100%**

მეხცრე კომპეტენცის „გაურკვევლობისადმი შემწყნარებლური დამოკიდებულება“ განვითარებას რესპონდენტთა 33% ყოველდღიურ სასწავლო პროცესში იყენებს და იგი განუყოფელი ნაწილია. თუმცა მათი რაოდენობა უფრო მეტია ვინც ამ კომპეტენციას ხშირად იყენებს 49% და მხოლოდ 16% ძალიან იშვიათად ახერხებს ამ კომპეტენციაზე მუშაობას, იხ. ცხრილი #14.

გრაფიკი #31 წარმოადგენს იმ ხელისშემწყობ ფაქტორებს, რომელიც „გაურკვევლობისადმი შემწყნარებლური დამოკიდებულების“ განვითარებაში ეხმარებათ მასწავლებლებს. ამ კომპეტენციის განვითარებაში მასწავლებლებს ყველაზე მეტად ეხმარებათ: პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი, კონფერენციები და სხვა ფაქტორები.

გრაფიკი #31: რა გეხმარებათ სტუდენტებში აღნიშნული კომპეტენციის განვითარებაში



გრაფიკი #32: რა გიშლით ხელს სტუდენტებში აღნიშნული კომპეტენციის განვითარებაში



გრაფიკი #33: რა ტიპის მხარდაჭერას ისურვებდით აღნიშნული კომპეტენციის განვითარებაში



გრაფიკი #32 წარმოადგენს იმ ხელისშემშლელ ფაქტორებს, რომელიც „გაურკვევლობისადმი შემწყნარებლური დამოკიდებულების“ განვითარებაში ხელს უშლის მასწავლებლებს. ამ კომპეტენციის განვითარებაში მასწავლებლებს ყველაზე მეტად ხელს უშლის: თემის ჩართულობა, სხვა ფაქტორები და დამხმარე პროფესიული რესურსები.

გრაფიკი #33 წარმოადგენს იმ მხარდამჭერ ფაქტორებს, რომლებსაც „გაურკვევლობისადმი შემწყნარებლური დამოკიდებულების“ განვითარებაში მასწავლებლები ისურვებდნენ როგორც მხარდამჭერს. ამ კომპეტენციის განვითარებაში მასწავლებლებს ყველაზე მეტად ესაჭიროებათ: საერთაშორისო ორგანიზაციების, თემის და მშობელთა ჩართულობის მხარდაჭერა.

დამატებითი კომენტარის სახით „გაურკვევლობისადმი შემწყნარებლური დამოკიდებულების“ კომპეტენციის განვითარებისთვის მასწავლებლები აღნიშნავენ:

- *„არ მქონია ასეთი შემთხვევა ჩემს პრაქტიკაში“*
- *„აქვთ შემწყნარებლური დამოკიდებულება“*
- *„ზოგჯერ თემის რომელიმე წარმომადგენლის მიერ ჩადენილი არასწორი საქციელი“*
- *„მშობელი სკოლა“*
- *„ხელისშემშლელია, ზოგჯერ თემის რომელიმე წარმომადგენლის მიერ ჩადენილი არასწორი საქციელი“*

10. <u>დამოუკიდებლად სწავლის უნარ-ჩვევები:</u>

ცხრილი #15. რამდენად ახერხებთ სტუდენტებში აღნიშული კომპეტენციის განვითარებაზე მუშაობას

	რესპონდენტთა განაწილება	%
0 - საერთოდ ვერ ვახერხებ;	1	1%
1 - ძალიან იშვიათად ვახერხებ;	13	7%
2 - ხშირად ვახერხებ;	82	43%
3 - ამ კომპეტენციების განვითარება ყოველდღიური სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია	96	50%
სულ	**192**	**100%**

მეათე კომპეტენცის „დამოუკიდებლად სწავლის უნარ-ჩვევების“ განვითარებას რესპონდენტთა 50% ყოველდღიურ სასწავლო პროცესში იყენებს და იგი განუყოფელი ნაწილია. თუმცა მათი რაოდენობაც მნიშვნელოვანია ვინც ამ კომპეტენციას ხშირად იყენებს 43% და მხოლოდ 7% ძალიან იშვიათად ახერხებს ამ კომპეტენციაზე მუშაობას, იხ. ცხრილი #15.

გრაფიკი #34 წარმოადგენს იმ ხელისშემწყობ ფაქტორებს, რომელიც „დამოუკიდებლად სწავლის უნარ-ჩვევების“ განვითარებაში ეხმარებათ მასწავლებლებს. ამ კომპეტენციის განვითარებაში მასწავლებლებს ყველაზე მეტად ეხმარებათ: პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი, მშობელთა ჩართულობა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.

გრაფიკი #35 წარმოადგენს იმ ხელისშემშლელ ფაქტორებს, რომელიც „დამოუკიდებლად სწავლის უნარ-ჩვევების“ განვითარებაში ხელს უშლის მასწავლებლებს. ამ კომპეტენციის განვითარებაში მასწავლებლებს ყველაზე მეტად ხელს უშლის: თემის ჩართულობა, დამხმარე პროფესიული რესურსები და პროფესიული განათლების განვითარების დეპარტემანტი.

გრაფიკი #34: რა გეხმარებათ სტუდენტებში აღნიშნული კომპეტენციის განვითარებაში



გრაფიკი #35: რა გიშლით ხელს სტუდენტებში აღნიშნული კომპეტენციის განვითარებაში



გრაფიკი #36 წარმოადგენს იმ მხარდამჭერ ფაქტორებს, რომლებსაც „დამოუკიდებლად სწავლის უნარ-ჩვევების“ განვითარებაში მასწავლებლები ისურვებდნენ როგორც მხარდამჭერს. ამ კომპეტენციის განვითარებაში მასწავლებლებს ყველაზე მეტად ესაჭიროებათ: საერთაშორისო ორგანიზაციების, თემის და მშობელთა ჩართულობის მხარდაჭერა.



დამატებითი კომენტარის სახით „დამოუკიდებლად სწავლის უნარ-ჩვევების“ კომპეტენციის განვითარებისთვის მასწავლებლები აღნიშნავენ:

- *„არ აქვთ საკუთარი თავის განვითერების უნარებზე მუშაობის ჩვევები, საჭიროა მათთვის სამოტივაციო აქტივობები ზემდგომებიდან“*
- *„მშობლებისგან, სკოლისგან აღნიშნული უნარის ჩამოყალიბება“*
- *„საგაკვეთილო დროის გამოყენება და მეთოდების ისე შერჩევა და ინტერაქციების სასწავლო პროცესის წარმართვა ხელს შეუწყობს ამ უნარების განვითარებას“*
- *„სკოლებში მეტი ყურადღება მიექცეს ამ უნარის განვითარებას“*
- *„ტრენინგებზე დასწრება“*

11. <u>ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევები:</u>

ცხრილი #16. რამდენად ახერხებთ სტუდენტებში აღნიშული კომპეტენციის განვითარებაზე მუშაობას

	რესპონდენტთა განაწილება	%
0 - საერთოდ ვერ ვახერხებ;		
1 - ძალიან იშვიათად ვახერხებ;	10	5%
2 - ხშირად ვახერხებ;	102	53%
3 - ამ კომპეტენციების განვითარება ყოველდღიური სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია	80	42%
სულ	**192**	**100%**

მეთერთმეტე კომპეტენცის „ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევების“ განვითარებას რესპონდენტთა 42% ყოველდღიურ სასწავლო პროცესში იყენებს და იგი განუყოფელი ნაწილია. თუმცა მათი რაოდენობა ნახევარზე მეტია ვინც ამ კომპეტენციას ხშირად იყენებს 53% და მხოლოდ 5% ძალიან იშვიათად ახერხებს ამ კომპეტენციაზე მუშაობას, იხ. ცხრილი #16.

გრაფიკი #37 წარმოადგენს იმ ხელისშემწყობ ფაქტორებს, რომელიც „ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევების“ განვითარებაში ეხმარებათ მასწავლებლებს. ამ კომპეტენციის განვითარებაში მასწავლებლებს ყველაზე მეტად ეხმარებათ: პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი, საერთაშორისო ორგანიზაციები და არასამთავრებო სექტორი.

გრაფიკი #38 წარმოადგენს იმ ხელისშემშლელ ფაქტორებს, რომელიც „ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევების“ განვითარებაში ხელს უშლის მასწავლებლებს. ამ კომპეტენციის განვითარებაში მასწავლებლებს ყველაზე მეტად ხელს უშლის: თემის ჩართულობა, პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი და დამხმარე პროფესიული რესურსები.

გრაფიკი #37: რა გეხმარებათ სტუდენტებში აღნიშნული კომპეტენციის განვითარებაში



გრაფიკი #38: რა გიშლით ხელს სტუდენტებში აღნიშნული კომპეტენციის განვითარებაში



გრაფიკი #39: რა ტიპის მხარდაჭერას ისურვებდით აღნიშნული კომპეტენციის განვითარებაში



გრაფიკი #39 წარმოადგენს იმ მხარდამჭერ ფაქტორებს, რომლებსაც „ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევების“ განვითარებაში მასწავლებლები ისურვებდნენ როგორც მხარდამჭერს. ამ კომპეტენციის განვითარებაში მასწავლებლებს ყველაზე მეტად ესაჭიროებათ: საერთაშორისო ორგანიზაციების, მშობელთა და თემის ჩართულობის მხარდაჭერა.

დამატებითი კომენტარის სახით „ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევების“ კომპეტენციის განვითარებისთვის მასწავლებლები აღნიშნავენ:

- *„გამოცდილების გაზიარება“*
- *„სკოლაში სწავლების პროცესში“*
- *„ტრენინგებია საჭირო ამ კომპეტენციის განვითარების ხელშესაწყობად“*
- *„ხელს მიშლის ტრენინგის ნაკლებობა“*

12. <u>მოსმენისა და დაკვირვების უნარ-ჩვევები:</u>

ცხრილი #17. რამდენად ახერხებთ სტუდენტებში აღნიშული კომპეტენციის განვითარებაზე მუშაობას

	რესპონდენტთა განაწილება	%
0 - საერთოდ ვერ ვახერხებ;	1	1%
1 - ძალიან იშვიათად ვახერხებ;	7	4%
2 - ხშირად ვახერხებ;	78	41%
3 - ამ კომპეტენციების განვითარება ყოველდღიური სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია	106	55%
სულ	**192**	**100%**

მეთორმეტე კომპეტენცის „მოსმენისა და დაკვირვების უნარ-ჩვევები“ განვითარებას რესპონდენტთა 55% ყოველდღიურ სასწავლო პროცესში იყენებს და იგი განუყოფელი ნაწილია. თუმცა მათი რაოდენობაც მნიშვნელოვანია ვინც ამ კომპეტენციას ხშირად იყენებს 41% და მხოლოდ 4% ძალიან იშვიათად ახერხებს ამ კომპეტენციაზე მუშაობას, იხ. ცხრილი #17.

გრაფიკი #40 წარმოადგენს იმ ხელისშემწყობ ფაქტორებს, რომელიც „მოსმენისა და დაკვირვების უნარ-ჩვევების“ განვითარებაში ეხმარებათ მასწავლებლებს. ამ კომპეტენციის განვითარებაში მასწავლებლებს ყველაზე მეტად ეხმარებათ: პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი, მშობელთა ჩართულობა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.

გრაფიკი #41 წარმოადგენს იმ ხელისშემშლელ ფაქტორებს, რომელიც „მოსმენისა და დაკვირვების უნარ-ჩვევები“ განვითარებაში ხელს უშლის მასწავლებლებს. ამ კომპეტენციის განვითარებაში მასწავლებლებს ყველაზე მეტად ხელს უშლის: თემის ჩართულობა, დამხმარე პროფესიული რესურსები და სხვა ფაქტორები.

გრაფიკი #42 წარმოადგენს იმ მხარდამჭერ ფაქტორებს, რომლებსაც „მოსმენისა და დაკვირვების უნარ-ჩვევები“ განვითარებაში მასწავლებლები ისურვებდნენ როგორც მხარდამჭერს. ამ კომპეტენციის განვითარებაში მასწავლებლებს ყველაზე მეტად ესაჭიროებათ: საერთაშორისო ორგანიზაციების, მშობელთა და თემის ჩართულობის მხარდაჭერა.







დამატებითი კომენტარის სახით „მოსმენისა და დაკვირვების უნარ-ჩვევები“ კომპეტენციის განვითარებისთვის მასწავლებლები აღნიშნავენ:

- *„სკოლა, ოჯახი პროფესიული განათლება“*
- *„ტრენინგებზე დასწრება“*

13. ემპათია;

ცხრილი #18. რამდენად ახერხებთ სტუდენტებში აღნიშული კომპეტენციის განვითარებაზე მუშაობას

	რესპონდენტთა განაწილება	%
0 - საერთოდ ვერ ვახერხებ;	4	2%
1 - ძალიან იშვიათად ვახერხებ;	20	11%
2 - ხშირად ვახერხებ;	78	41%
3 - ამ კომპეტენციების განვითარება ყოველდღიური სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია	87	46%
სულ	**189**	**100%**

მეცამეტე კომპეტენციის „ემპათიის“ განვითარებას რესპონდენტთა 46% ყოველდღიურ სასწავლო პროცესში იყენებს და იგი განუყოფელი ნაწილია. თუმცა მათი რაოდენობაც მნიშვნელოვანია ვინც ამ კომპეტენციას ხშირად იყენებს 41% და მხოლოდ 11% ძალიან იშვიათად ახერხებს ამ კომპეტენციაზე მუშაობას, იხ. ცხრილი #18.

გრაფიკი #43: რა გეხმარებათ სტუდენტებში აღნიშნული კომპეტენციის განვითარებაში



გრაფიკი #44: რა გიშლით ხელს სტუდენტებში აღნიშნული კომპეტენციის განვითარებაში



გრაფიკი #43 წარმოადგენს იმ ხელისშემწყობ ფაქტორებს, რომელიც „ემპათიის“ განვითარებაში ეხმარებათ მასწავლებლებს. ამ კომპეტენციის განვითარებაში მასწავლებლებს ყველაზე მეტად ეხმარებათ: პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი, კონფერენციები და სხვა ფაქტორები.

გრაფიკი #44 წარმოადგენს იმ ხელისშემშლელ ფაქტორებს, რომელიც „ემპათიის“ განვითარებაში ხელს უშლის მასწავლებლებს. ამ კომპეტენციის განვითარებაში მასწავლებლებს ყველაზე მეტად ხელს უშლის: თემის ჩართულობა, დამხმარე პროფესიული რესურსები და სხვა ფაქტორები.



გრაფიკი #45 წარმოადგენს იმ მხარდამჭერ ფაქტორებს, რომლებსაც „ემპათიის“ განვითარებაში მასწავლებლები ისურვებდნენ როგორც მხარდამჭერს. ამ კომპეტენციის განვითარებაში მასწავლებლებს ყველაზე მეტად ესაჭიროებათ: საერთაშორისო ორგანიზაციების, მშობელთა და თემის ჩართულობის მხარდაჭერა.

დამატებითი კომენტარის სახით „ემპათიის“ კომპეტენციის განვითარებისთვის მასწავლებლები აღნიშნავენ:

- *„მშობლები, თემი სკოლა“*
- *„ფსიქოლოგის რჩევების მოსმენა“*
- *„შეხვედრები“*

14. <u>მოქნილობა და შეგუების უნარი:</u>

ცხრილი #19. რამდენად ახერხებთ სტუდენტებში აღნიშული კომპეტენციის განვითარებაზე მუშაობას

	რესპონდენტთა განაწილება	%
0 - საერთოდ ვერ ვახერხებ;	1	1%
1 - ძალიან იშვიათად ვახერხებ;	23	12%
2 - ხშირად ვახერხებ;	97	51%
3 - ამ კომპეტენციების განვითარება ყოველდღიური სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია	71	37%
სულ	**192**	**100%**

მეთოთხმეტე კომპეტენცის „მოქნილობის და შეგუების უნარის“ განვითარებას რესპონდენტთა 37% ყოველდღიურ სასწავლო პროცესში იყენებს და იგი განუყოფელი ნაწილია. თუმცა მათი რაოდენობა უფრო მეტია, ვინც ამ კომპეტენციას ხშირად იყენებს 51% და მხოლოდ 12% ძალიან იშვიათად ახერხებს ამ კომპეტენციაზე მუშაობას, იხ. ცხრილი #19.

გრაფიკი #46 წარმოადგენს იმ ხელისშემწყობ ფაქტორებს, რომელიც „მოქნილობის და შეგუების უნარის“ განვითარებაში ეხმარებათ მასწავლებლებს. ამ კომპეტენციის განვითარებაში მასწავლებლებს ყველაზე მეტად ეხმარებათ: პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი და კონფერენციები.

გრაფიკი #47 წარმოადგენს იმ ხელისშემშლელ ფაქტორებს, რომელიც „მოქნილობის და შეგუების უნარის“ განვითარებაში ხელს უშლის მასწავლებლებს. ამ კომპეტენციის განვითარებაში მასწავლებლებს ყველაზე მეტად ხელს უშლის: თემის ჩართულობა, დამხმარე პროფესიული რესურსები და პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი.

გრაფიკი #48 წარმოადგენს იმ მხარდამჭერ ფაქტორებს, რომლებსაც „მოქნილობის და შეგუების უნარის“ განვითარებაში მასწავლებლები ისურვებდნენ როგორც მხარდამჭერს. ამ კომპეტენციის განვითარებაში მასწავლებლებს ყველაზე მეტად ესაჭიროებათ: საერთაშორისო ორგანიზაციების, მშობელთა ჩართულობის და კოლეგებთან თანამშრომლობის მხარდაჭერა.

გრაფიკი #46: რა გეხმარებათ სტუდენტებში აღნიშნული კომპეტენციის განვითარებაში



გრაფიკი #47: რა გიშლით ხელს სტუდენტებში აღნიშნული კომპეტენციის განვითარებაში



გრაფიკი #48: რა ტიპის მხარდაჭერას ისურვებდით აღნიშნული კომპეტენციის განვითარებაში



დამატებითი კომენტარის სახით „მოქნილობის და შეგუების უნარის“ “ კომპეტენციის განვითარებისთვის მასწავლებლები აღნიშნავენ:

- *„მშობლები, თემი“*
- *„პედაგოგის აზრის გათვალისწინება“*

15. <u>ენობრივი, კომუნიკაციური და მრავალენობრივი უნარები;</u>

ცხრილი #20. რამდენად ახერხებთ სტუდენტებში აღნიშული კომპეტენციის განვითარებაზე მუშაობას

	რესპონდენტთა განაწილება	%
0 - საერთოდ ვერ ვახერხებ;	8	4%
1 - ძალიან იშვიათად ვახერხებ;	34	18%
2 - ხშირად ვახერხებ;	78	41%
3 - ამ კომპეტენციების განვითარება ყოველდღიური სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია	71	37%
სულ	**191**	**100%**

მეთხუთმეტე კომპეტენცის „ენობრივი კომუნიკაციური და მრავალენოვანი უნარების“ განვითარებას რესპონდენტთა 37% ყოველდღიურ სასწავლო პროცესში იყენებს და იგი განუყოფელი ნაწილია. თუმცა მათი რაოდენობა უფრო მეტია ვინც ამ კომპეტენციას ხშირად იყენებს 41%, ვინც ძალიან იშვიათად ახერხებს 18% და მინიმალურია 4% ვინც ამ კომპეტენციაზე მუშაობას საერთოდ ვერ ახერხებს, იხ. ცხრილი #20.

გრაფიკი #49 წარმოადგენს იმ ხელისშემწყობ ფაქტორებს, რომელიც „ენობრივი კომუნიკაციური და მრავალენოვანი უნარების“ განვითარებაში ეხმარებათ მასწავლებლებს. ამ კომპეტენციის განვითარებაში მასწავლებლებს ყველაზე მეტად ეხმარებათ: პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი და პროფესიული სტანდარტები.

გრაფიკი #50 წარმოადგენს იმ ხელისშემშლელ ფაქტორებს, რომელიც „ენობრივი კომუნიკაციური და მრავალენოვანი უნარების“ განვითარებაში ხელს უშლის მასწავლებლებს. ამ კომპეტენციის განვითარებაში მასწავლებლებს ყველაზე მეტად ხელს უშლის: თემის ჩართულობა, სხვა ფაქტორები და პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი.

გრაფიკი #49: რა გეხმარებათ სტუდენტებში აღნიშნული კომპეტენციის განვითარებაში



გრაფიკი #50: რა გიშლით ხელს სტუდენტებში აღნიშნული კომპეტენციის განვითარებაში



გრაფიკი #51: რა ტიპის მხარდაჭერას ისურვებდით აღნიშნული კომპეტენციის განვითარებაში



გრაფიკი #51 წარმოადგენს იმ მხარდამჭერ ფაქტორებს, რომლებიც „ენობრივი კომუნიკაციური და მრავალენოვანი უნარების“ განვითარებაში მასწავლებლები ისურვებდნენ როგორც მხარდამჭერს. ამ კომპეტენციის განვითარებაში მასწავლებლებს ყველაზე მეტად ესაჭიროებათ: საერთაშორისო ორგანიზაციების, თემის და მშობელთა ჩართულობის მხარდაჭერა.

დამატებითი კომენტარის სახით „ენობრივი კომუნიკაციური და მრავალენოვანი უნარების“ კომპეტენციის განვითარებისთვის მასწავლებლები აღნიშნავენ:

- *„ვთვლი რომ ჩემი კომპეტენცია არაა ამ უნარების გამომუშავება“*
- *„კარგი იქნებოდა ვიდეორგოლების ჩვენება“*
- *„რაიმე უფრო ეფექტური დახმარებაა საჭირო“*
- *„საგნის სპეციფიკა“*
- *„სკოლაში ჩართულობა“*
- *„სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებთან ურთიერთობების შესაძლებლობით ხელს შეუწყობს ამ უნარების განვითარებას“*
- *„ხელისშემშლელია საგნის სპეციფიკა“*

16. <u>თანამშრომლობის უნარ-ჩვევები;</u>

ცხრილი #21. რამდენად ახერხებთ სტუდნტებში აღნიშული კომპეტენციის განვითარებაზე მუშაობას

	რესპონდენტთა განაწილება	%
0 - საერთოდ ვერ ვახერხებ;	1	1%
1 - ძალიან იშვიათად ვახერხებ;	4	2%
2 - ხშირად ვახერხებ;	66	35%
3 - ამ კომპეტენციების განვითარება ყოველდღიური სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია	120	63%
სულ	**191**	**100%**

მეთექვსმეტე კომპეტენცის „თანამშრომლობის უნარ-ჩვევების“ განვითარებას რესპონდენტთა 63% ყოველდღიურ სასწავლო პროცესში იყენებს და იგი განუყოფელი ნაწილია. თუმცა მათი რაოდენობაც მნიშვნელოვანია ვინც ამ კომპეტენციას ხშირად იყენებს 35% და მხოლოდ 2% ძალიან იშვიათად ახერხებს ამ კომპეტენციაზე მუშაობას, იხ. ცხრილი #21.

გრაფიკი #52 წარმოადგენს იმ ხელისშემწყობ ფაქტორებს, რომელიც „თანამშრომლობის უნარ-ჩვევების“ განვითარებაში ეხმარებათ მასწავლებლებს. ამ კომპეტენციის განვითარებაში მასწავლებლებს ყველაზე მეტად ეხმარებათ: კონფერენციები, პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.



გრაფიკი #52: რა გეხმარებათ სტუდენტებში აღნიშნული კომპეტენციის განვითარებაში



გრაფიკი #53: რა გიშლით ხელს სტუდენტებში აღნიშნული კომპეტენციის განვითარებაში

გრაფიკი #53 წარმოადგენს იმ ხელისშემშლელ ფაქტორებს, რომელიც „თანამშრომლობის უნარ-ჩვევების“ განვითარებაში ხელს უშლის მასწავლებლებს. ამ კომპეტენციის განვითარებაში მასწავლებლებს ყველაზე მეტად ხელს უშლის: თემის ჩართულობა, სხვა ფაქტორები და დამხმარე პროფესიული რესურსები.



გრაფიკი #54 წარმოადგენს იმ მხარდამჭერ ფაქტორებს, რომლებსაც „თანამშრომლობის უნარ-ჩვევების“ განვითარებაში მასწავლებლები ისურვებდნენ როგორც მხარდამჭერს. ამ კომპეტენციის განვითარებაში მასწავლებლებს ყველაზე მეტად ესაჭიროებათ: საერთაშორისო ორგანიზაციების,თემის და მშობელთა ჩართულობის მხარდაჭერა.

დამატებითი კომენტარის სახით „თანამშრომლობის უნარ-ჩვევების“ კომპეტენციის განვითარებისთვის მასწავლებლები აღნიშნავენ:

- *„თანამშრომლობას ვახერხებთ შეძლებისდაგვარად“*
- *„კონფერენციები უნდა ჩატარდეს ამ საკითხზე და სხვა პედაგოგების გამოცდილებას გაიზიარებენ მასწავლებლები“*
- *„მეტი ტრენინგი და კონფერენცია ამ საკითხზე“*
- *„სკოლა, პროფესიული განათლება“*
- *„ყველაზე კარგი იქნება კოლეგებთან თანამშრომლობით გამოცდილების გაზიარება“*

17. <u>კონფლიქტების მოგვარების უნარ-ჩვევები.</u>

ცხრილი #22. რამდენად ახერხებთ სტუდენტებში აღნიშული კომპეტენციის განვითარებაზე მუშაობას

	რესპონდენტთა განაწილება	%
0 - საერთოდ ვერ ვახერხებ;	5	3%
1 - ძალიან იშვიათად ვახერხებ;	16	8%
2 - ხშირად ვახერხებ;	78	41%
3 - ამ კომპეტენციების განვითარება ყოველდღიური სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია	92	48%
სულ	**191**	**100%**

მეჩვიდმეტე კომპეტენცის „კონფლიქტების მოგვარების უნარ-ჩვევების“ განვითარებას რესპონდენტთა 48% ყოველდღიურ სასწავლო პროცესში იყენებს და იგი განუყოფელი ნაწილია. თუმცა მათი რაოდენობაც მნიშვნელოვანია ვინც ამ კომპეტენციას ხშირად იყენებს 41% და მხოლოდ 8% ძალიან იშვიათად ახერხებს ამ კომპეტენციაზე მუშაობას, იხ. ცხრილი #22.

გრაფიკი #55 წარმოადგენს იმ ხელისშემწყობ ფაქტორებს, რომელიც „კონფლიქტების მოგვარების უნარ-ჩვევები“ განვითარებაში ეხმარებათ მასწავლებლებს. ამ კომპეტენციის განვითარებაში მასწავლებლებს ყველაზე მეტად ეხმარებათ: პროფესიულის დირექცია, საგნობრივი კათედრები და საგნობრივი სახელმძღვანელო.

გრაფიკი #56 წარმოადგენს იმ ხელისშემშლელ ფაქტორებს, რომელიც „კონფლიქტების მოგვარების უნარ-ჩვევები“ განვითარებაში ხელს უშლის მასწავლებლებს. ამ კომპეტენციის განვითარებაში მასწავლებლებს ყველაზე მეტად ხელს უშლის: ტრენინგების/სამუშაო შეხვედრების დეფიციტი, საგნობრივი კათედრები და სასწავლო გეგმა.

გრაფიკი #57 წარმოადგენს იმ მხარდამჭერ ფაქტორებს, რომლებსაც „კონფლიქტების მოგვარების უნარ-ჩვევები“ განვითარებაში მასწავლებლები ისურვებდნენ როგორც მხარდამჭერს. ამ კომპეტენციის განვითარებაში მასწავლებლებს ყველაზე მეტად ესაჭიროებათ: საერთაშორისო ორგანიზაციების, დამხმარე პროფესიული რესურსები და მშობელთა ჩართულობის მხარდაჭერა.

გრაფიკი #55: რა გეხმარებათ სტუდენტებში აღნიშნული კომპეტენციის განვითარებაში



გრაფიკი #56: რა გიშლით ხელს სტუდენტებში აღნიშნული კომპეტენციის განვითარებაში



გრაფიკი #57: რა ტიპის მხარდაჭერას ისურვებდით აღნიშნული კომპეტენციის განვითარებაში



დამატებითი კომენტარის სახით „კონფლიქტების მოგვარების უნარ-ჩვევების“ კომპეტენციის განვითარებისთვის მასწავლებლები აღნიშნავენ:

- *„აუცილებელია ტრენინგები ამ საკითხზე“*
- *„კონფლიქტების მოგვარებაზე კარგი ტრენინგის მსმენელი ვიქნებოდი სიამოვნებით“*
- *„სკოლა, ოჯახი“*
- *„ფსიქოლოგის კონსულტაცია“*

18. <u>საკუთარი თავის შეცნობა და კრიტიკული გააზრება;</u>

ცხრილი #23. რამდენად ახერხებთ სტუდენტებში აღნიშული კომპეტენციის განვითარებაზე მუშაობას

	რესპონდენტთა განაწილება	%
0 - საერთოდ ვერ ვახერხებ;		
1 - ძალიან იშვიათად ვახერხებ;	16	8%
2 - ხშირად ვახერხებ;	105	55%
3 - ამ კომპეტენციების განვითარება ყოველდღიური სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია	70	37%
სულ	**191**	**100%**

მეთვრამეტე კომპეტენცის „საკუთარი თავის შეცნობა და კრიტიკული გააზრების“ განვითარებას რესპონდენტთა 37% ყოველდღიურ სასწავლო პროცესში იყენებს და იგი განუყოფელი ნაწილია. თუმცა მათი რაოდენობა უფრო მეტია ვინც ამ კომპეტენციას ხშირად იყენებს 55% და მხოლოდ 8% ძალიან იშვიათად ახერხებს ამ კომპეტენციაზე მუშაობას, იხ. ცხრილი #23.

გრაფიკი #58 წარმოადგენს იმ ხელისშემწყობ ფაქტორებს, რომელიც „საკუთარი თავის შეცნობა და კრიტიკული გააზრება“ განვითარებაში ეხმარებათ მასწავლებლებს. ამ კომპეტენციის განვითარებაში მასწავლებლებს ყველაზე მეტად ეხმარებათ: პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი, მშობელთა ჩართულობა და საერთაშორისო ორგანიზაციები.

გრაფიკი #59 წარმოადგენს იმ ხელისშემშლელ ფაქტორებს, რომელიც „საკუთარი თავის შეცნობა და კრიტიკული გააზრება“ განვითარებაში ხელს უშლის მასწავლებლებს. ამ კომპეტენციის განვითარებაში მასწავლებლებს ყველაზე მეტად ხელს უშლის: თემის ჩართულობა, დამხმარე პროფესიული რესურსები და პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი.

გრაფიკი #58: რა გეხმარებათ სტუდენტებში აღნიშნული კომპეტენციის განვითარებაში



გრაფიკი #59: რა გიშლით ხელს სტუდენტებში აღნიშნული კომპეტენციის განვითარებაში



გრაფიკი #60: რა ტიპის მხარდაჭერას ისურვებდით აღნიშნული კომპეტენციის განვითარებაში



გრაფიკი #60 წარმოადგენს იმ მხარდამჭერ ფაქტორებს, რომელიც „საკუთარი თავის შეცნობა და კრიტიკული გააზრება“ განვითარებაში მასწავლებლები ისურვებდნენ როგორც მხარდამჭერი. ამ კომპეტენციის განვითარებაში მასწავლებლებს ყველაზე მეტად ესაჭიროებათ: საერთაშორისო ორგანიზაციების, მშობელთა და თემის ჩართულობის მხარდაჭერა.

დამატებითი კომენტარის სახით „საკუთარი თავის შეცნობა და კრიტიკული გააზრება“ კომპეტენციის განვითარებისთვის მასწავლებლები აღნიშნავენ:

- *„თანამშრომლობა“*
- *„ოჯახი, სკოლა“*
- *„ფსიქოლოგის კონსულტაცია“*

19. ენისა და კომუნიკაციის ცოდნა-შემეცნება და კრიტიკული გააზრება;

ცხრილი #24. რამდენად ახერხებთ სტუდენტებში აღნიშული კომპეტენციის განვითარებაზე მუშაობას

	რესპონდენტთა განაწილება	%
0 - საერთოდ ვერ ვახერხებ;	5	3%
1 - ძალიან იშვიათად ვახერხებ;	28	15%
2 - ხშირად ვახერხებ;	89	47%
3 - ამ კომპეტენციების განვითარება ყოველდღიური სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია	68	36%
სულ	**190**	**100%**

მეცხრამეტე კომპეტენცის „ენისა და კომუნიკაციის ცოდნა-შემეცნების და კრიტიკული გააზრების“ განვითარებას რესპონდენტთა 36% ყოველდღიურ სასწავლო პროცესში იყენებს და იგი განუყოფელი ნაწილია. თუმცა მათი რაოდენობა უფრო მეტია ვინც ამ კომპეტენციას ხშირად იყენებს 47% და მხოლოდ 15% ძალიან იშვიათად ახერხებს ამ კომპეტენციაზე მუშაობას, იხ. ცხრილი #24.

გრაფიკი #61 წარმოადგენს იმ ხელისშემწყობ ფაქტორებს, რომელიც „ენისა და კომუნიკაციის ცოდნა-შემეცნების და კრიტიკული გააზრების“ განვითარებაში ეხმარებათ მასწავლებლებს. ამ კომპეტენციის განვითარებაში მასწავლებლებს ყველაზე მეტად ეხმარებათ: პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი და საერთაშორისო ორგანიზაციები.

გრაფიკი #61: რა გეხმარებათ სტუდენტებში აღნიშნული კომპეტენციის განვითარებაში



გრაფიკი #62: რა გიშლით ხელს სტუდენტებში აღნიშნული კომპეტენციის განვითარებაში



გრაფიკი #63: რა ტიპის მხარდაჭერას ისურვებდით აღნიშნული კომპეტენციის განვითარებაში



გრაფიკი #62 წარმოადგენს იმ ხელისშემშლელ ფაქტორებს, რომელიც „ენისა და კომუნიკაციის ცოდნა-შემეცნების და კრიტიკული გააზრების“ განვითარებაში ხელს უშლის მასწავლებლებს. ამ კომპეტენციის განვითარებაში მასწავლებლებს ყველაზე მეტად ხელს უშლის: თემის ჩართულობა, სხვა ფაქტორები და დამხმარე პროფესიული რესურსები.

გრაფიკი #63 წარმოადგენს იმ მხარდამჭერ ფაქტორებს, რომლებსაც „ენისა და კომუნიკაციის ცოდნა-შემეცნება და კრიტიკული გააზრების“ განვითარებაში მასწავლებლები ისურვებდნენ როგორც მხარდამჭერს. ამ კომპეტენციის განვითარებაში მასწავლებლებს ყველაზე მეტად ესაჭიროებათ: საერთაშორისო ორგანიზაციების, მშობელთა და თემის ჩართულობის მხარდაჭერა.

დამატებითი კომენტარის სახით „ენისა და კომუნიკაციის ცოდნა-შემეცნება და კრიტიკული გააზრების“ კომპეტენციის განვითარებისთვის მასწავლებლები აღნიშნავენ:

- *„დისკუსიის მოწყობა ჯგუფში, ცნობილ ადამიანებთან ერთად“*
- *„ვიყენებ ჩემს განათლებას და უდიდეს პრაქტიკულ გამოცდილებას“*
- *„ოჯახისა და სკოლის სწორი დამოკიდებულება“*
- *„საჭიროა პედაგოგებთან სამინისტროს წარმომადგენელთა შეხვედრები“*
- *სკოლა, ოჯახი, პროფესიული განათლება*

20. <u>მსოფლიოს (პოლიტიკის, კანონის, ადამიანის უფლებების, კულტურის, კულტურათა, რელიგიების, ისტორიის, მედიის, ეკონომიკის, გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების) შეცნობა-შემეცნება და კრიტიკული გააზრება.</u>

ცხრილი #25. რამდენად ახერხებთ სტუდენტებში აღნიშული კომპეტენციის განვითარებაზე მუშაობას

	რესპონდენტთა განაწილება	%
0 - საერთოდ ვერ ვახერხებ;	9	5%
1 - ძალიან იშვიათად ვახერხებ;	58	31%
2 - ხშირად ვახერხებ;	80	42%
3 - ამ კომპეტენციების განვითარება ყოველდღიური სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია	43	23%
სულ	**190**	**100%**

მეოცე კომპეტენცის „მსოფლიოს (პოლიტიკის, კანონის, ადამიანის უფლებების, კულტურის, კულტურათა, რელიგიების, ისტორიის, მედიის, ეკონომიკის, გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების) შეცნობა-შემეცნების და კრიტიკული გააზრების“ განვითარებას რესპონდენტთა 23% ყოველდღიურ სასწავლო პროცესში იყენებს და იგი განუყოფელი ნაწილია. თუმცა მათი

რაოდენობა უფრო მეტია ვინც ამ კომპეტენციას ხშირად იყენებს 42% და ვინც ძალიან იშვიათად ახერხებს 31% ამ კომპეტენციაზე მუშაობას, მინიმალური 5% საერთოდ ვერ ახერხებს ამ კომპეტენციაზე მუშაობას, იხ. ცხრილი #25.

გრაფიკი #64 წარმოადგენს იმ ხელისშემწყობ ფაქტორებს, რომელიც „მსოფლიოს (პოლიტიკის, კანონის, ადამიანის უფლებების, კულტურის, კულტურათა, რელიგიების, ისტორიის, მედიის, ეკონომიკის, გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების) შეცნობა-შემეცნების და კრიტიკული გააზრების“ განვითარებაში ეხმარებათ მასწავლებლებს. ამ კომპეტენციის განვითარებაში მასწავლებლებს ყველაზე მეტად ეხმარებათ: პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი, მშობელთა ჩართულობა და განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

გრაფიკი #64: რა გეხმარებათ სტუდენტებში აღნიშნული კომპეტენციის განვითარებაში



გრაფიკი #65: რა გიშლით ხელს სტუდენტებში აღნიშნული კომპეტენციის განვითარებაში



გრაფიკი #65 წარმოადგენს იმ ხელისშემშლელ ფაქტორებს, რომელიც „მსოფლიოს (პოლიტიკის, კანონის, ადამიანის უფლებების, კულტურის, კულტურათა, რელიგიების, ისტორიის, მედიის, ეკონომიკის, გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების) შეცნობა-შემეცნების და კრიტიკული გააზრების“ განვითარებაში ხელს უშლის მასწავლებლებს. ამ კომპეტენციის

განვითარებაში მასწავლებლებს ყველაზე მეტად ხელს უშლის: თემის ჩართულობა, პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი და სხვა ფაქტორები.

გრაფიკი #66 წარმოადგენს იმ მხარდამჭერ ფაქტორებს, რომლებსაც „მსოფლიოს (პოლიტიკის, კანონის, ადამიანის უფლებების, კულტურის, კულტურათა, რელიგიების, ისტორიის, მედიის, ეკონომიკის, გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების) შეცნობა-შემეცნების და კრიტიკული გააზრების“ განვითარებაში მასწავლებლები ისურვებდნენ როგორც მხარდამჭერს. ამ კომპეტენციის განვითარებაში მასწავლებლებს ყველაზე მეტად ესაჭიროებათ: საერთაშორისო ორგანიზაციების, მშობელთა ჩართულობა და ტრენინგები/სამუშაო შეხვედრები.



დამატებითი კომენტარის სახით „მსოფლიოს (პოლიტიკის, კანონის, ადამიანის უფლებების, კულტურის, კულტურათა, რელიგიების, ისტორიის, მედიის, ეკონომიკის, გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების) შეცნობა-შემეცნების და კრიტიკული გააზრების“ კომპეტენციის განვითარებისთვის მასწავლებლები აღნიშნავენ:

- *„დახმარება საჭიროების შემთხვევაში“*

- *„ვიყენებ საკუთარ გამოცდილებას“*
- *„თანამშრომლობა, შეხვედრები“*
- *„სკოლა, თემის აქტიური ჩართულობა“*
- *„ტრენინგის ჩატარება მოწვეული სპეციალისტის მიერ“*

ძირითადი დასკვნები

პროფესიული განათლების მასწავლებლებს შორის დემოკრატიული კულტურის კვლევის შედეგებიდან გამომდინარე შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ პროცესი მიმდინარეობს და იმედის მომცემია. ამის საფუძველს გვაძლევს, საქართველოს მასშტაბით 20 პროფესიული დაწესებულების 192 მასწავლებლის და დირექტორის გამოკითხვის შედეგები. კვლევის კონკრეტული ამოცანების შესაბამისად შეგვიძლია განვიხილოთ დასკვნები, რომელიც მონაცემთა ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბდა. თუმცა საჭიროა დასკვნებს სიფრთხილით მოვეკიდოთ რადგან ზოგიერთ კითხვაზე პასუხების არასაკმარისი რაოდენობაა დაფიქსირებული.

<u>მასწავლებელთა შორის დემოკრატიული კულტურის სარეკომენდაციო ჩარჩოს შესახებ ცნობადობის დადგენა;</u>

- ✓ გამოკითხულ რესპონდენტთა სამი მეოთხედი არ იცნობს დემოკრატიული კულტურის სარეკომენდაციო ჩარჩოს.

<u>დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩოს შესახებ ინფორმირებულობის შესახებ წყაროების და ფორმების გამოვლენა;</u>

- ✓ ძირითად ინფორმაციის წყაროს დემოკრატიული კულტურის სარეკომენდაციო ჩარჩოს შესახებ წარმოადგენს სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.
- ✓ განსაკუთრებით დაბალია ინფორმაციის მიწოდება რესურსცენტრებიდან.
- ✓ ჩამონათვალის გარდა ინფორმაციის წყაროდ პედაგოგების ნაწილი მიიჩნევს ინტერნეტს და სოციალურ მედიას.
- ✓ ინფორმაციის მიღების პრიორიტეტულ ფორმად ხშირ შემთხვევებში სახელდება ტრენინგები და სამუშაო შეხვედრები, ასევე ერთნაირი სიხშირით სახელდება გზამკვლევები და პრეზენტაციები.

<u>დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩოს შესახებ ცნობადობის და ინფორმირებულობის შეფასება რეგიონალურ და დარგობრივ ჭრილებში;</u>

- ✓ დემოკრატიული კულტურის სარეკომენდაციო ჩარჩოს ცნობადობა შედარებით მაღალია მცხეთა-მთიანეთში, კახეთში, თბილისსა და აჭარაში. გაცილებით ნაკლებია ცნობადობა შიდა ქართლში, ხოლო საერთოდ არ იცნობს ამ კომპეტენციების

სარეკომენდაციო ჩარჩოს გურიის, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთის და ქვემო ქართლის მასწავლებლები.

- ✓ დარგობრივი მიმართულების ჭრილში მაღალია ცნობადობა საბუნემბისმეტყველო მეცნიერებების, ინჟინერიის, მიმართულებათაშორისი და აგრარული დარგების მასწავლებლებს შორის. ხოლო დაბალია ბიზნესის ადმინისტრირების, ჯანდაცვის, უცხო ენების და ხელოვნების მიმართულებათა ჯგუფებში.
- ✓ მთავარ საინფორმაციო წყაროდ სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს ასახელებს აჭარის, თბილისის და მცხეთა-მთიანეთის მასწავლებლები. განათლების სამინისტროს ასახელებენ სამცხე-ჯავახეთის, ხოლო სხვა წყაროს კახეთის მასწავლებლები. შიდა ქართლის წარმომადგენლები ერთნაირი სიხშირით ასახელებენ მასწავლებლის სახლს, განათლების სამინისტროს და კოლეგას, როგორც მთავარ საინფორმაციო წყაროს.
- ✓ დარგობრივი მიმართულებების ჯგუფებიდან ინჟინერიის, მიმართულებათაშორისი, საბუნებისმეტყველო მეცნიერების და ბიზნესის ადმინისტრირების მასწავლებლები პრიორიტეტულ ინფორმაციის წყაროდ მასწავლებლის სახლს ასახელებენ. ჯანდაცვის დარგის მასწავლებლები პრიორიტეტად ასახელებენ კოლეგას, აგრარული დარგის მასწავლებლები სხვა წყაროს, ხელოვნების - დირექტორს და განათლების სამინისტროს, უცხო ენების მასწავლებლები - მასწავლებლის სახლს და განათლების სამინისტროს, სოციალური მეცნიერებების დარგის მასწავლებლები კი მასწავლებლის სახლს, სამინისტროს, კოლეგას და სხვა წყაროს.
- ✓ ინფორმაციის მიღების პრიორიტეტულ ფორმად სახელდება ტრენინგები და სამუშაო შეხვედრები იმერეთში, მცხეთა-მთიანეთში, ქვემო ქართლში, აჭარაში, შიდა ქართლში, სამეგრელო-ზემო სვანეთში და თბილისში. გზამკვლევი/სახელმძღვანელო პრიორიტეტად სახელდება გურიაში და მცხეთა-მთიანეთში. პრიორიტეტულად პრეზენტაციას ასახელებს კახეთი და სამცხე-ჯავახეთი, ხოლო ელექტრონულ რესურს რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი.
- ✓ პრიორიტეტულია ტრენინგების და სამუშაო შეხვედრების ფორმით ინფორმაციის მიღება ბიზნესის ადმინისტრირების, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, ინჟინერიის, უცხო ენების, ხელოვნების, აგრარულის და ჯანდაცვის დარგის მასწავლებლებს შორის. გზამკვლევი/სახელმძღვანელო პრიორიტეტად სახელდება ხელოვნების და ჯანდაცვის მიმართულებებშიც. პრეზენტაციას პრიორიტეტად ასახელებენ მიმართულებათაშორისი დარგის წარმომადგენლები, ელექტრონულ რესურს კი სოციალური მეცნიერებების მიმართულების მასწავლებლები. აღსანიშნავია რომ ჯანდაცვის მიმართულების მასწავლებლებს შორის პრიორიტეტი იყოფა ტრენინგებს, გზამკვლევს და პრეზენტაციას შორის.

<u>დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების განვითარებაზე მუშაობის ინტენსიობის დადგენა;</u>

- ✓ დემოკრატიული კულტურის სარეკომენდაციო ჩარჩოს 20 კომპეტენციიდან ექვს კომპეტენციას (2, 5, 7, 10, 12, 16) რესპონდენტთა ნახევარზე მეტი ასახელებს, როგორც ყოველდღიური სასწავლო პროცესის განუყოფელ ნაწილს. ოთხი კომპეტენციის (6, 11, 14, 18) გამოყენებას მოსწავლეებში ასევე რესპონდენტთა ნახევარზე მეტი ხშირად ახერხებს. ყურადსაღებია სამი კომპეტენცია (4, 15 და 20) რომლის გამოყენებასაც მასწავლებელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ძალიან

იშვიათად ახერხებს. ასევე პასუხებში მონიშნულია შვიდი კომპეტენცია (4, 9, 13, 15, 17, 19, 20) რომლის განვითარებასაც მასწავლებლები საერთოდ ვერ ახერხებენ.

<u>დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების განვითარებაზე მუშაობის პროცესში ხელშემწყობი და ხელშემშლელი ფაქტორების დადგენა;</u>

- ✓ დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების განვითარების მუშაობის პროცესში ხელისშემწყობი ფაქტორებიდან ყველაზე ხშირად სახელდება პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი, კონფერენციები და საერთაშორისო ორგანიზაციები. ყველაზე იშვიათად კი სახელდება საწარმოო პრაქტიკა, მოდულები და ტრენინგები/სამუშაო შეხვედრები.
- ✓ დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების განვითარებაზე მუშაობის პროცესში ხელისშემშლელი ფაქტორებიდან ყველაზე ხშირად სახელდება თემის ჩართულობა, დამხმარე პროფესიული რესურსები და პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი. ჩამოთვლილი ფაქტორებიდან კი ყველაზე იშვიათია პროფესიული სტანდარტები, საგაკვეთილო დრო და მოდულები.

<u>დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების განვითარებაზე მუშაობის პროცესში სასურველი დამხმარე ფაქტორების დასახელება;</u>

- ✓ დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების განვითარების მუშაობის პროცესში სასურველ დამხმარე ფაქტორად ყველაზე ხშირად სახელდება საერთაშორისო ორგანიზაციები, მშობელთა ჩართულობა და თემის ჩართულობა. ყველაზე იშვიათად კი სახელდება არასამთავრებო სექტორი, მოდულები და საგაკვეთილო დრო.

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია მეტი მუშაობა მასწავლებლებთან დემოკატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩოზე ცნობადობის ასამაღლებლად, ცნობადობის 50%-მდე გასზრდელად.
- საჭიროა ინფორმაციის მიწოდება ისეთი რეგიონების სკოლებში სადაც ცნობადობა დაბალია.
- სასურველია მეტი მუშაობა რესურსცენტრებთან რომ მათ დემოკრატიული კომპეტენციების შესახებ მიაწოდონ ინფორმაცია მასწავლებლებს.
- კომპეტენციების შესახებ ძირითადი ინფორმაციის მიღების ფორმად აღიარებულია ტრენინგები და სამუშაო შეხვედრები, თუმცა საჭიროა მეტი არჩევანი ქონდეთ ელექტრონული რესურსების სახით.

- ცნობადობის და ინფორმიებულობის გაზრდის მიზნით მეტი მუშაობაა საჭირო პროფესიულ საზოგადოებაში, სწავლების სხვადასხვა საფეხურზე და დარგობრივ ჯგუფებში.
- რაც შეიძლება მეტი დემოკრატიული კულტურის კომპეტენცია უნდა გახდეს ყოველდღიური სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილი.
- რადგან ზოგიერთი ფაქტორი არის კომპეტენციების განვითარების როგორც ხელისშემწყობი, ისე ხელისშემშლელი ფაქტორი (დამხმარე პროფესიული რესურსები, პროფეიული განათლების განვითარების დეპარტამენტი), საჭიროა ამ ფაქტორებთან მიზნობრივი მუშაობა.
- რადგან მასწავლებლები ითხოვენ მშობელთა და თემის ჩართულობის მხარდაჭერას, საჭიროა ამ მიმართულებით სწორი აქცენტების გააკეთება და თანამშრომლობის გაზრდა.
- აუცილებელია საერთაშორისო ორგანიზაციების და არასამთავრობო სექტორის აქტიური მუშაობა და თანამშრომლობა პროფესიული განათლების საზოგადოებასთან.

დანართი N1

დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების კვლევა პროფესიული განათლების მასწავლებლებთან

კითხვარი მომზადებულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ და მიზნად ისახავს დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების მიმართულებით სიტუაციის შეფასებას პროფესიულ დაწესებულებებში.
გთხოვთ, ღიად და თავისუფლად დააფიქსიროთ თქვენი მოსაზრება და დამოკიდებულება, ეს ცენტრს, მონაცემებზე დაფუძნებით, მასწავლებლების საჭიროებაზე მორგებული შემხვედრი ნაბიჯების გადადგმის საშუალებას მისცემს.
გამოკითხვა ანონიმურია!

რეგიონი/რაიონი ----------
სკოლა ----------
პოზიცია----------
დარგი ----------

1. **იცნობთ თუ არა დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩოს?**
   ა) კი ბ) არა

2. **დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ, დააკონკრეტოთ, საიდან მიიღეთ ინფორმაცია დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩოს შესახებ:**
   ა) მასწავლებელთა პროფესიული განვითრების ეროვნული ცენტრი
   ბ) განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
   გ) სკოლის დირექტორი
   დ) რესურსცენტრი
   ე) კოლეგა
   ვ) სხვა ----------

3. **იმ შემთხვევაში, თუ არ იცნობთ დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩოს, გთხოვთ, დააკონკრეტეთ, რა ფორმით ისურვებთ ინფორმაციის მიღებას:**
   ა) პრეზენტაცია ბ) გზამკვლევი /სახელმძღვანელო გ) ელექტრონული რესურსი
   დ) ტრენინგი / სამუშაო შეხვედრა ე) სხვა ----------

4. ცხრილში მოცემულია დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩოთი გათვალისწინებული კომპეტენციები.

გთხოვთ, თითოეული კომპეტენციის შესაბამისად, შეაფასოთ, რამდენად ახერხებთ მოსწავლეებში აღნიშნული კომპეტენციის განვითარებას.

ამასთანავე, თითოეული კომპეტენციის შესაბამისად, აღწერეთ ხელშემწყობი და ხელშემშლელი ფაქტორები.
იმ შემთხვევაში კი, თუ დახმარებას ისურვებდით ამა თუ იმ კომპეტენციის მიმართულებით, გთხოვთ, დააკონკრეტოთ დახმარების ფორმა/ტიპი.

კომპეტენცია **#1**	**შეაფასეთ რამდენად ახერხებთ მოსწავლეებში აღნიშული კომპეტენციის განვითარებაზე მუშაობას:** 0 - საერთოდ ვერ ვახერხებ 1 - ძალიან იშვიათად ვახერხებ 2 - ხშირად ვახერხებ 3 - ამ კომპეტენციების განვითარება ყოველდღიური სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია	**გთხოვთ, დაასახელოთ, რა გეხმარებათ მოსწავლეებში აღნიშნული კომპეტენციის განვითარებაში** ფაქტორები იხილეთ ბარათზე და პასუხის შესატყვისი კოდი/ები ჩაწერეთ უჯრაში	**გთხოვთ, დაასახელოთ, რა გიშლით ხელს მოსწავლეებში აღნიშნული კომპეტენციის განვითარებაში** ფაქტორები იხილეთ ბარათზე და პასუხის შესატყვისი კოდი/ები ჩაწერეთ უჯრაში	**გთხოვთ, დაასახელოთ, რა ტიპის მხარდაჭერას ისურვებდით მოსწავლეებში აღნიშული კომპეტენციის განვითარების პროცესში** იხილეთ ბარათი და პასუხის შესატყვისი კოდი/ები ჩაწერეთ უჯრაში	**დამატებითი კომენტარი აღნიშნული კომპეტენციის განვითარების შესახებ**
ღირებულებები					
1. ადამიანის ღირსებისა და უფლებების დაფასება;	0 1 2 3				
2. კულტურული მრავალფეროვნების დაფასება;	0 1 2 3				
3. დემოკრატიის, სამართლიანობის, კეთილსინდისიერების, თანასწორობისა და კანონის უზენაესობის დაფასება.	0 1 2 3				
დამოკიდებულებები					

4. კულტურული განსხვავებულობისა და სხვა რწმენებისადმი, მსოფლმხედველობების, შეხედულებებისა თუ პრაქტიკისადმი შემწყნარებლური დამოკიდებულებისათვის მზაობა;	0 1 2 3				
5. პატივისცემა;	0 1 2 3				
6. მოქალაქეობრივი აზროვნება;	0 1 2 3				
7. პასუხისმგებლობა;	0 1 2 3				
8. თავდაჯერებულობა					
9. გაურკვევლობისადმი შემწყნარებლური დამოკიდებულება.	0 1 2 3				
უნარები					
10. დამოუკიდებლად სწავლის უნარ-ჩვევები;	0 1 2 3				
11. ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევები;	0 1 2 3				
12. მოსმენისა და დაკვირვების უნარ-ჩვევები;	0 1 2 3				
13. ემპათია;	0 1 2 3				
14. მოქნილობა და შეგუების უნარი;	0 1 2 3				
15. ენობრივი, კომუნიკაციური და	0 1 2 3				

მრავალენობრივი უნარები;					
16. თანამშრომლობის უნარ-ჩვევები;	0 1 2 3				
17. კონფლიქტების მოგვარების უნარ-ჩვევები.	0 1 2 3				
ცოდნა და კრიტიკული გააზრება					
18. საკუთარი თავის შეცნობა და კრიტიკული გააზრება;	0 1 2 3				
19. ენისა და კომუნიკაციის ცოდნა-შემეცნება და კრიტიკული გააზრება;	0 1 2 3				
20. მსოფლიოს (პოლიტიკის, კანონის, ადამიანის უფლებების, კულტურის, კულტურათა, რელიგიების, ისტორიის, მედიის, ეკონომიკის, გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების) შეცნობა-შემეცნება და კრიტიკული გააზრება.	0 1 2 3				

გმადლობთ თანამშრომლობისათვის!

ფაქტორები:

1. განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

2. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი
3. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
4. პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი
5. არასამთავრობო სექტორი
6. საერთაშორისო ორგანიზაციები
7. კოლეგებთან თანამშრომლობა
8. მშობელთა ჩართულობა
9. თემის ჩართულობა
10. პროფესიული სტანდარტები
11. მოდულები
12. საგაკვეთილო დრო
13. საწარმო პრაქტიკა
14. ტრენინგები/სამუშაო შეხვედრები
15. კონფერენციები
16. დამხმარე პროფესიული რესურსები
17. სხვა .....